

2.661 6996 25
2



ჩემს დიუნადან

ნიკო მოსკოველ-ოდიშელისა




გ ა თ უ მ ი

ბართ. კილაძის და გიორგი თაყვართქილაძის სტამბა
1907

4057

266



ჩემს ღვაწლად

ნიკო მოსკოველ-ოდიშელისა



ქართული

1937

წიგნების

გ ა თ უ მ ი

ქ.თ. კილაძის და გიორგი თაყვართქილაძის სტამბა
1906



1901 წ.

1 სექტემბერი.

ამ დღია ავდექი 6 საათზედ. დღეს უძლიერესი და კეთილ-მყოფელი ზედოქმედება ზარისა პირველი იყო ჩემზედ. სანამ რეკას დაიწყებდენ, მე ვფიქრობდი ჩემს უბადრუკობაზე: როდემდის უნდა ვიყო მე სულით გლახაკი, გონებით ბნელი, ზნეობით დაცემული და როდემდის უნდა ვიყო მოშორებული გონებით განუზომელ სივრცეზე ჩემს სასაოება-ღმერთს?! როდემდის?! როდემდის?!

ამ დროს მოისმა ზარის რეკა მოწასტრისა. ძლიერმა, მწყობრმა, ენერგიულ-ჰარმონიულმა, არ-ქვეყნიურმა ხმამ ზარისამ, თითქოს მოწოდებააო ზეცისა, როგორც საშინელი, მოულოდნელი, თავზარდამცემი ამბავი, ისე მძლავრად დაიგრგვინა ჩემს ყურებთან და მიწოდებდა-მიძახდა უმაღლესი ცხოვრებისაკენ, მიწოდებდა უწმიდესი, მშვენიერ-ჰარმონიული, ძლივამოსილი და ღვთაებრივი ხმა მე უწმინდურს, ენა ჩავდებულს, შიშით აკანკალებულს ჩემს ბნელ ორმოში; — მიწოდებდა — მიძახდა, როგორც ღმერთი ადამს სამოახეში, ღვთაებრივი სიყვარულისა და ჰარმონიის,

უმაღლესი იდეალების*) და ჭეშმარიტების სამეფოში, მაგრამ მე, ადამის მსგავსად, საწყალის ხმით მინდოდა შემეძახნა, რომ ტიტველი ვარ სულიერად, ვიმყოფები უზომო უფსკრულში, უმეცრების და უზნეობის წუმვე და ტალახი მალრჩობს მე და აღმოსვლა აქედან და წასვლა იქეთკენ, სადაცა შენ მიწოდებ, უსაზღვროდ მწყურია, მაგრამ აღარ შეიძლება — მეთქი, ეს მინდოდა აღმომეთქვა, ამ დროს უზომო მღელვარება მომეკიდა ცეცხლივით, ტანმა წვა დამიწყო და მწარე ცრემლები ღაბა-ღუბით გადმომიცვინდა თვალთაგან. მე ვსტიროდი, ვსტიროდი, ცრემლებს ვაფრქვევდი და ისე ყურს ვუგდებდი ზარის რეკას და ვევედრებოდი ზეციერს: „ღმერთო, აღმადგინე მკვდრებით! ღმერთო, აღმადგინე სიკვდილისაგან!“

2 სექტემბერი.

დილით, 11 საათზედ, გავემგზავრე ქალბატონ ცვეტკოვის ოჯახში. მიუხედავად იმისა, რომ იქ, სადაცა მივდიოდი, არ მეგულებოდა ქალღმერთა სიყვარულისა, სახლში კი არაფითარი წმიდა ცეცხლი გულს არ მოსდებია და გონება არ გაუტაცნია მაღალ აზრს და არაფითარი სიკეთე არვისგან არ მი-

*) **იდეალი** ჰქვია ჩვენი მაღალგონების მიერ დახატულს სახეს იმისას, თუ როგორი უნდა იყოს საგანი ანუ ადამიანი. იდეალი ჰქვია ისრეთ ყოვლად-ღიად, სხივ-მომდინარე და ყოვლად სრულ მდგომარეობაში ღვთაებრივს განსვენებას, რომელ მდგომარეობამდე მიხწვევა კაცისათვის შეუძლებელია, მაგრამ დახლოება კი შესაძლებელი.

მილია, მიუხედავად ამისა, რაღაცა გრძნობამ ბედნიერებისამ შეიპყრო მთელი ჩემი არსება და კი არ მივდიოდდი, არამედ მივფრინავდი: გულს მოედვა სიყვარულის ცეცხლი, საიდანაც იგი გავრცელდა მთელს ჩემს არსებაში. მე ვგრძნობდი, რომ შეპყრობილი ვიყავი ძლიერის, გამოურკვეველის, უზომო სიყვარულითა ბუნებისა და კაცობრიობისადმი. რამ გააჩინა ჩემში ის ღვთაებრივი გრძნობა, რომელმაც მიწიერი ქმნილება 20 წამის განმავლობაში ანგელოზად მაქცია, გონება გაანათლა, გული აღავსო უმანკო სიხარულით, სული აღაფრთოვანა, ულამაზო სახე აღანთო შუქმფინარე მშვენიერებით?! 20-ი წამის განმავლობაში მე ვიყავი ბედნიერი, ვიყავი ანგელოზურ მდგომარეობაში, ვიყავი მაღალი, ჰარმონიული არსება, 'მეილი ზეცისა, ისრეთი მანათობელი, როგორც ციური ვარსკლავი, ისეთი მღელვარე, როგორც ტალღა ზღვისა, ისეთი მფრინავი, როგორც ნიავი...

3 სექტემბერი.

მთელი დღის განმავლობაში დაღვრემილი ვიყავი და მწუხარე. ვგრძნობდი წამალ-დაუდებელ სულის სიმარტოვეს, ვგრძნობდი, რომ მთელს დედამიწის ზურგზედ არ იყო არც ერთი ადამიანი, რომელსაც შესძლებოდა **წაშვლად** ეთქვა ჩემთვის: „ძვირფასო **ძმარ** ნიკო!“ — „ძვირფასო **შვილო** ნიკო!“ — „ჩემო **სახვარელო** ნიკო!“ — „ძვირფასო **მეგობარო** ნიკო!“ ვგრძნობდი, რომ მე არა მყავ-

და და, მე არა მყავდა დედ-მამა, მე არა მყავდა სატ-
რფო გულისა, მე არა მყავდა მეგობარი. ქვეყანაზე
ყველანი, როგორც ჩემიანები, ისე სხვები, **უცხო-**
ნი იყვნენ ჩემთვის: ჩემი იმათ არაფერი არ გაეგე-
ბოდათ, მე კი იმათი არაფერი არამრწამდა. მე ვგრძნო-
ბდი, რომ ყველანი ასე თუ ისე იყვნენ კარგს გან-
წყობილებაში ერთმანეთშორის, მე კი ერთად-ერთი
აღარ ვერიე იმათ შორის, გაბუტულივით განზე ვი-
დექი და ვგრძნობდი უმეტესობისადმი ზიზღს და
მძულვარებას, ათვალწუნებას და უპატივცემლობას —
კი — ყველასადმი.

+ სექტემბერი.

დღეს საკმარისად ვიმუშავე. მიუხედავად ამისა
მცირედს კმაყოფილებასაც არ დაუსადგურებია ჩემ-
ში: მე მეჯავრებოდა თავისი თავი, ყოვლად უვარ-
გისი და საძაგელი, მე მეჯავრებოდა ყოველი ადა-
მიანი, რადგანაც თითოეული მათგანი იყო ჩემსავით
საძაგელი და ყოვლად უვარგისი, მე რამოდენადმე
შაინც მომეპოვება თვითშეგნება ჩემის სიგლახისა და
გულს მიღრღნის უკმარობა, სევდა... სხვები — კი
ლხინს და მეჯლისს ეწვევიან იმისს გამო, რომ ისრეთი
„კარგები“ არიან... ნეტავი თქვენ! ნეტავ იმ მშო-
პელთა და სამშობლოს, რომელთაა ნუგეში, იმედი
და სიამაყე თქვენა ხართ!...

5 სექტემბერი.

სიხარულის უმცირედესი გრძნობაც-კი გულს არ
მოჰკარებია. ვიმუშავე სხვისთვის, ჩემთვის გაზეთის

წაკითხვაც-კი ვერ მოვასწარი ხეირიანად. ჩვეულ სევდით და შხამ-სამსალათი აღვსებული იყო და არის კიდემდის სული და გული. ჩემთვის არ არსებობს სამშობლო, მამული, ქვეყანა, კაცობრიობა. არავითარი მიზანი მე წინ არ მიმიძღვის.

განუშორებლათ წინ მიდგას ორი სამყარო: ცა და დედამიწა. ცაზე ვხედავ მზე-მთვარეს, ვარსკლავებს და ღრუბლებს, რომლებსაც ვესაუბრები ხანდისხან, მაგრამ ყურს არ მიგდებენ მე ისინი; დედამიწაზე სულ მუდამ თვალების წინ მეჩხირებიან **შილაცები**, რომლებიც მე მგვანან და რომლებიც ამისთვის მეჯავრებიან ჰირივით. ყველაზე უფრო მეჯავრება იმათი უზომო, უაზრო, უშინაარსო ლაპარაკი,—მე იმათ არასდროს ყურს არ უგდებ, რადგანაც, ყური რომ დაუგდო, სულ ერთია, ვერაფერს ვერ გამაგებიებენ.

6 სექტემბერი.

ნეტავ აგნიას*) სულში ჩამაძვრინა, ნეტავ მაცოდინა, თუ რა იყო მიზეზი იმისი მხიარულებისა! დამინახა თუ არა ეტლში მჯდომარე, ერთი ფანჯრიდან მეორესკენ გამოირბინა, ელვის სისწრაფით მომაპყრო თავისი მშვენიერი თვალები და ელვის სისწრაფითვე ცეკვა-თამაშით გაჰკროლდა ფანჯრიდან შუა ხალისკენ და მსწრაფლად მიეთარა. მე კი იმისმა მხიარულებამ მწუხარებით აღმივსო გული, იმიტომ რომ მიზეზი იმისი მხიარულებისა, მგონი, ჩემთვის აღარ არის უცნობი და უცხო.

*) ქალიშვილის სახელია.

ოხ, ღმერთო ჩემო! რა უღარდელი ბავშვია იგი: პირადი ბედნიერების გარეშე არსებობს თუ არა ქვეყანაზე რამე, იმან აღარ იცის! იმას აღარაფერი არ აწუხებს ქვეყანაზე გარდა იმისა, რომ თვითონ და თავისიანები ჯარგათ იმყოფებოდნენ და ის პირი, რომელმაც იგი სხვებში განარჩია და თანაგრძნობით დააჯილდოვა, დარჩეს უცვლელი და ერთგული იმისი საუკუნოდ.

ოხ, ბავშვო, ბავშვო, რა ბედნიერი ხარ! თუმცა არასოდეს არ ვისურვებდი შენ მდგომარეობას, მაინც მეხარბება შენი ჩიტის მსგავსი უღარდელობა და ქუქქუქი!

ოჰ, აგნიაე! ვითომ მეგობრად გსახავდი! რა დიდი განსხვავებაა ჩვენ შორის; მე უბედური პირადი და საზოგადო უბედურებით და შენ ბედნიერი პირადი ბედნიერებით და საზოგადო უბედურების გაუგებრობით და უცოდინარეობით...

9 სექტემბერი.

დღეს ვიმუშავე რიგიანად და ვიგემე იშვიათი უმანკო სიხარული, აღტაცება და პირადი ბედნიერება. ახლა მე ისე აღსავესე ვარ ბედნიერების გრძნობით, რომ ჩემს თავს ძალა დავატანე კალამი ხელში ამელო, რადგანაც წერის გუნებაზე არა ვარ. ჩემი ოცნება აგნიასთან არის, ჩემი ძვირფას, უმანკო, ანგელოზ-აგნიასთან. აგნია მე მიყვარს ძმურის სიყვარულით. ერთის მხრით აგნია ჩემი და არის, მეორე მხრით—ჩემი მფარველი ანგელოზია: მე იმისი სიყვა-

რული მაკეთილშობილებს, მამალლებს, მიცავს უმანკოდ, ძალას მძლევს და აღმაფრენას გონებრივ მუშაობის დროს. როცა აგნიასი ყურადღება მე მოვინადირე, მაშინ მე ვცხოვრობდი რიგიანათ: ვმუშაობდი, ვწერდი, ვფიქრობდი, ვვაზროვნობდი, უმანკოდ და წმინდად ვატარებდი ცხოვრებას; მაშინ მე ვგრძნობდი იმდენ სულიერს და ზნეობრივს ძალას და უზომო სიყვარულს, რომ შეუძლებელი იყო არ მომენადირებია აგნიას გული, მიუხედავად იმისა, რომ იგი მედიდურაა და ჩემზე ავის მეტი კარგი არავისგან არ გაუკონია, და პირადი ცნობა მე არა მაქვს იმასთან. მაგრამ იგი მეტის მეტი მგრძნობელი აღამიანია და იმას **ვაზრძნობინე** მე, თუ რა ვიყავი მაშინ... მას შემდეგ გავიდა ხანი და მეგამოვიცვალე ცხოვრება: დავიწყე უსაქმაო ხეტიალი ნაცნობთა შორის, სეირნობა და დროს ტარება უგრძნობელ, უსულგულო, ყბედ და უშინაარსო ქალებთან და ვაჟებთან, რომელთან ყოუნამ, თუქცა დროებით, მაგრამ მაინც შემცვალა და იმათ მიმამსგავესა, **აქამდის მე არავის არა ვვაძვი**. ახლაკი მეც ისრეთი ვაყავი, როგორც სხვები... ვგრძნობდი, რომ ასრეთი დაცემული აღამიანი აგნიაზე ვერ ვიმოქმედებდი; — ვსწუხდი მეტის-მეტად. რომ დამებრუნებია პირუანდელი კეთილშობილი მდგომარეობა, შევწყვიტე პირუტყვ და პრუზით აღსავესე აღამიანებთან მისვლა-მოსვლა, შეუდექ სერიოზულ გონებრივ, შემოქმედებითს მუშაობას და ამ დღიურის წერასაც.

ამ საღამოს შევედი ეკლესიაში, სადაცა დაი-
სისა და წირვის დროს მუდამ დაიარება ძვირფასი
აგნია. ჩემი სული და გული სავსე იყო წმიდა,
უსაზღვრო სიყვარულით და უძლიერესის მისწრაფე-
ბით იდეალისადმი, გონება—ნათელი, სახე ჩემი—
აღსავსე უმანკო აღტაცებით და რაღაც ანგარიშ
მიუცემლო, ანგელოზური სიხარულით... აგნიასი
უძლიერესი და უწრფელესი თანაგრძნობა გამოვიწვიე
იმისმა კმაყოფილებით აღსავსე სახემ თითქოს გარდმომ-
ცა:— „აი, ამისთანა მინდა რომ იყო! მე შემძლია
მივიღო მხოლოდ იმისი სიყვარული, ვისაც გავაღმერ-
თებ, გაღმერთება შემძლია მხოლოდ იმისი, ვინც
ჰარმონიული, მშვენიერი, წმიდა, იდეალური არსე-
ბაა, ისრეთი, როგორიც ახლა შენა ხარ, ჩემო ნი-
კო!“...

1± სიკტემბერი.

დღეს ვიყავი ჩემი უძვირფასესი მეგობრის ალექ-
სანდრე ვიხროვის სახლში. რა კეთილშობილი ოჯახ-
ხია: და, დისწული, დედა, ძმები—ყველანი, წარ-
მოადგენენ კეთილთა სულთა. აი ოჯახი, რომელ-
საც გულწრფელად პატივსა ვცემ და რომლის
წევრები, თავიანთის მხრით, პატივსა მცემენ და უყვარ-
ვარ ყველას. რა ტკბილათ, რა უმანკოდ და ბედნი-
ერათ გავატარე გუშინდელი დღე იმათთან! ალექსან-
დრეს, თუ არა ვცთები, უყვარს ძლიერის სიყვა-
რულით ერთი ქალიშვილი. რის შეცთობა, როცა
საბუთი ხელთა მაქვს: ალექსანდრემ გადმომცა ერთი
თავისი პსიხოლოგიური ეტიუდი, საიდანაც ჩემთვის

აშკარათ სჩანს, რომ იმას გაშმაგებით და უნუგე-
შოთ უყვარს.. იმისმა სევდამ და კაეშანმა, უნუგეშო
სიყვარულისაგან გამოწვეულმა, ისე შემიპყრო, რომ
დამავიწყა პირადი მწუხარება, საკუთარი უბედურება.
აღექსანდრე უზომოდ შემცდარია, როცა ჰგოდებს-
„не родись богатымъ, а родись красивымъ!“ ...
და თავის მეგობარ-ქალის უსიყვარულობას ჰხსნის
თავის ულამაზობით: ვრთი ჩემი ნაცნობ **ლამაზ-**
ქაბუკის სიყვარულმა გაიტაცა ჩემი მეგობარი და ჩემ-
ზე კი, ვაიმე, გულს გაუცივდაო. ღრმად შემცდა-
რია აღექსანდრე. აღექსანდრეზე ლამაზი ბევრია, მა-
გრამ იმაზე **მშვენიერი**-კი თითქმის არავინ არ არის,
და ქალი-კი მშვენიერებას უფრო ემონება, ვიდრე
სილამაზეს, თუ მშვენიერებასთან შეერთებულა
ზნეობრივი ძალა, სახიერება, ძლიერი პიროვნება,
ძალა ნებისა, მტკიცე ხასიათი, უშურველობა, თა-
ვისდავიწყებამდე ტრფიალებითი მისწრაფება წმიდა
იდეალისადმი, რწმენა თავისთვისა და იმისადმი, რომ
იგი გაიმარჯვებს ყოველგვარ დაბრკოლებებზე და
ბოროტს ძალაზედ და მიახწევს იმ სასურველ მიზანს,
რომლის განხორციელების წყურვილით სულით ხორ-
ცამდე გამსჭვალულია. ყოველი ზემო ჩამოთვლილი
თვისებანი რომელნიც ჰქმნიან გმირსა, აღექსან-
დრესი ბუნება დაჯილდოვებულია, მხოლოდ ეს თვი-
სებანი ჯერ-ჯერობით არ არიან საკმარისად გაშლილ-
ნი და განვითარებულნი, მაგრამ თან და თან გან-
ვითარდებიან და შემდეგში ყველასათვის დასანა-
ხავნი შეიქმნებიან. მაშასადამე დასახელებული ქალის

გულცივობის მიზეზი—თუ ეს მართალია—არა ულამაზობაა ალექსანდრესი, არამედ ის, რომ ალექსანდრე თავისი თავმდაბლობით ჰფარავს და მალავს, როგორც ძუნწი ოქროს, თავისს სულიერ და ზნეობრივ ღირსებებს და აღარ აჩენს იმ ძალას, რომელიც მეტოქეს დაჩრდილავდა და ქალს დაიმორჩილებდა,—ანუ ის, რომ ეს ქალი და ის ლამაზი ქაბუკი უფრო გრძნობენ თვისტომობას სულისას, ხასიათითა და სულიერის მიდრეკილებით უმეტესად ეთვისებიან ერთმანეთს,—ანუ ის, რომ ის ქაბუკი ალექსანდრეზე უფრო თამამია და კადნიერი და მეტის სითამამით გადაუშალა ქალს თავისი ვნებათაღელვა, ალექსანდრემ ამაში ნაკლები სითამამე გამოიჩინა, ქალი კი შეცდომაში შევიდა: იმას მოეჩვენა, რომ ვითომ ის ქაბუკი უფრო მდიდარია ალექსანდრეზე ვნებათაღელვით...

11 ნოემბერი.

ისევ დაგიბრუნდები, ჩემო დღიურო, დროებით მივიწყებულო! ღმერთო ჩემო, სანამდის უნდა ვიყო ასრეთს მონურ მდგომარეობაში! მე სიტყვით, ოჰ საძაგლობავ, სხვებს დავსცინოდი, მშიშრები არიან მეთქი, საქმით-კი დამტკიცდა, რომ ჩემზე მშიშარა ადამიანი ქვეყანაზე არ მოიპოვება. მშიშარა ვარ იმიტომ, რომ გლახაკი ვარ სულითა, რწმენა თავისთავისადმი ღრმა შეგნება თვისი კაცურ ღირსებისა მაკლია. მე ვთრთი ადამიანის წინაშე, მე მრცხვენია ადამიანის, მე მგონია, რომ ყველას ჩამოვრჩი, მე მგონია,

რომ ყველა ჩემზე განვითარებულია, სინტერესო და საკირო ქვეყნისათვის. მაგრამ ამავე დროს ვგრძნობ, რომ სიყვარულით, გულის სინაზით, სულის მშვენიერებით და მისწრაფებებით უკეთესისაკენ მე ბევრ ადამიანებზე მაღლა ვდგავარ და როცა ამას ვგრძნობ, მაშინ მე ვვორდები და ჩემში ბრძოლა იმართება: იღვიძებს ჩემში **წინაბანი** ადამიანი, რომელიც პროტესტს, წინააღმდეგობას მიწევს, იგი ძლიერია, კეთილშობილი და პატიოსანი, იგი, სადღაც მიმალული ჩემს არსებაში, წხამით აღივსება, როცა ჰხედავს, რომ მე დარჩდილული, ქედმოხრილი, მონური სახის გამომეტყველებით და მონური სიტყვა პასუხით წარვსდგები ხოლმე უბრალო ადამიანის წინაშე, რომელიც ჩემზე არც ნიჭიერია, არც განვითარებული და ვაგრძნობინებ ხოლმე იმას, რომ მე იმაზე დაბლა ვდგავარ ყოვლისფრით: ველაპარაკები **დაბალის, ნაზი** ხმით და მოტეხილის ენით, როგორც მონა. როცა ასრეთ პირს სამსახური მინდა რაიმე გაუწიო, მივმართავ ხოლმე დაახლოვებით ასე: „თუ **საწყენად** არ დაგიჩეხებათ, მსურს ესა და ეს სამსახური გაგიწიოთ და თუ **წინააღმდეგი არა გეჩვენებათ**—რა, გთხოვ მიმსახუროთ!“

აი, მაგალითად, ამ დღეებში ერთს ახალგაზდას, რომელიც საშუალო სასწავლებელში სწავლობს და რომლის ღირსება იმაში—ლა მდგომარეობს, რომ მღერის და უკრავს როიალზე ისე, როგორც ბევრი ბევრთაგანი, ასე მივმართე: „ქართველთ საღამო და კონცერტი გაიმართება სტუდენტების სასარგებლოთ

ამ თვის 25-მდის და თუ ინებებთ და ვინიცობაა დრო ხელს შეგიწყობსთ, მოგართმევთ უფასო ბილეთს!“ ჩემი ლაპარაკას კილო იყო მონური. ამ ახალგაზდამ, რომელიც თავმომწონეა და მედიდური, შეიფერა, თავისს ღირსებას მიაწერა ჩემი მონური ქცევა-მოპყრობა და როცა დაუახლოვდით იმისს სახლს, რომელიც ახლოს არის ჩემი სათაყვანებელი აგნიას სახლთან, იგი გაჩერდა და გამომშვიდობება დააპირა: ჩვენ ვიდექით აგნიას სახლის ფანჯრების წინ, რომლისაგან, ვგრძნობდი, გამოიქვრიტებოდა ჩემი ანგელოზი, რადგანაც ის ისეთი დრო იყო, როცა აგნია ჩვეულებრივათ ზის ხოლმე ფანჯარასთან. ეს ის აგნიაა, მშვენიერი, უმანკო, მედიდური და კეთილშობილი. რომელსაც თავი გავაცანი, როგორც არა ჩვეულებრივ არსება. იგი ჩემში ჰხედავდა მშვენიერს, უშიშარს, ღირსეულ ვაჟკაცს, რომელსაც მოელის არა ჩვეულებრივ ბედი, რომელიც გპირაა უბრალო მოქადავთა შორის და მომავალში-კი უკვდავთა რაცხვში ჩაიწერება მისი სახელი. ასრეთი შეხედულოზა ჰქონდა იასს ჩემზე და აქისთვის გრძნობდა იგი ჩემდამი სასოებას და ღრვა პატრიარსცემას. ამ აგნიის წინაშე ვადექათ. ჰბუქმა მედიდურათ წამოიღერა კისერი, დადგა ჩემს წინ ცეხარის პოზით, ამაყის სახით აიხედა აგნიას ფანჯრისკენ და შემდეგ ისრეთი ამაყი გამომეტყველებით შემომხედა და ისრეთი ამპარტავნის კილოთი მომცა რაღაც საპასუხო კითხვა, რომ ჩემგან სრულიად მოულოდნელი იყო, რომ იგი ასეთს როლს ითამაშებდა და

მე ჩვეულებრივის მონურის კილოთი მივეცი პასუხი და გამოვემშვიდობე. ჩვენს წინ ვინც არ უნდა მდგარიყო, იმ დასკვნამდის უნდა მისულიყო, რომ ერთი ჩვენთაგანი ბატონია, მეორე-კი მახური იმისი. ისეთ მგრძნობელ და ღრმა დამკვირებელ პირზე, როგორიც აგნიაა, ეს სურათი უცნაურს და გულას აღმაშფოთებელ შთაღბეჭდილებას მოახდენდა. აგნიას მივაჩნდი მე **თავისუფალ** ადამიანად, რომლისადმი ქონდა იმას ძლიერი რწმენა. ამ სურათის შემდეგ-კი იმას არამც თუ დაეკარგა ჩემდამი რწმენა, არამედ დაეკარგა რწმენა ადამიანისადმი, დაეკარგა რწმენა ადამიანის სიტყვის სწრფელისადმი. მე თუ წრფელი ვიყავი ჩემს აღთქმებში, მე თუ მართლა მიყვარდა ქეშმარიტება, ~~ჩვენს~~ მე თუ მართლა ვამზადებდი თავს იმისთვის, რომ თავდავიწყებული, საშინელი ბრძოლა გამემართა ქეშმარიტების მტერთა და საზოგადო ბოროტების წინააღმდეგ, მაშასადამე მე უნდა ვგრძნობდე ჩემს გულში ძალას, მაშასადამე ყველა უნდა გრძნობდეს, რომ საქმე აქვთ **ზნეობრივ ძალასთან მაინც** და რას ნიშნავს ეს მონური ქედდადრეკა იმ ყმაწვილის წინ, რომელსაც მე **აჭამლის** ყურადღებას არ ვაქცევდიო!—ასე ფიქრობდა აგნია.

მე კი უზომოდ მწუხარებამ შემიპყრო, რომ ეს ასე მოხდა აგნიას თვალების წინ; უზომოდ მწუხარებამ შემიპყრო იმის გამო, რომ ამ გარემოებამ თავლები ამიხილა **პირველად** იმაში, რომ ეს ყმაწვილი თავმომწონეობს, მედიდურობს და კეკლუ-

ცობს აგნასა და მის დის წინაშე, უნდა თავი აჩვენოს ისეთ ყმაწვილად, რომელსაც დარი არავინ არა ჰყავს და იგი ახირებულად არავის არ გახდის ღირსად თავისი გრძნობები გაუზიაროს. საინტერესოა რა ჰხდის იმას ასეთ კადნიერად და რა აძლევს სიმბნევებს? აი რა: იგი უკრავს როიალზედ კარგად და მღერის კარგად, სახლში განებივრებულია მშობლიურ სიყვარულით, ალერსით, იმ პატარა წრეში, სადაც იგი ტრიალებს, ესე-იგი მშობელთა, ნათესავთა და ორიოდ ნაცნობთა-ფუჟსავატ არსებათა შორის—იმას უპირატესობას აძლევენ, ყურადღებით და პატივის ცემით ეპყრობიან, ამისთვის ის ყმაწვილი წარმოადგენს მედიდურს, მხიარულს, ამპარტავან არსებას, რომელსაც ის თვისმოტყუება აქვს ჩანერგილი, რომ **ის სხვებს სჯობია**. ეს თვითმოტყუება-კი ჰხდის მას ნაკლებ მღუშაკათ, ნაკლებ მომქმედად. დასახელებულ პირობებს უნდა მიუმატოთ ის, რომ იმ სახლში, სადაც იგი დიდი ხანია რაც ცხოვრობს, ბინა აქვს ერთს მდიდარს, რომელთანაც ხშირათ მოდიან კარეტებით და მდიდარი ეტლებით სხვა და სხვა პირები და იმათ ეზოს ქიშკართან ხშირათ გამოჰქიმულეები სდგანან ძვირფასი ეტლები. ეს ყმაწვილი როცა გამოდის თავის სახლებიდან და ჰხედავს ამისთანა ეტლებს,—ემბლემას დიდკაცობისას,—აღტაცება გადჴრბენს სახეზე, იგი მედიდურათ გამოდის ეზოდან, ოცნებით თავის თავს დაუხატავს ხოლმე, რომ ეს ეტლები იმასთან მოვიდნენ, სხვებს-კი, მეზოღლებს და გამვლელ-გამომვლელებს სურს აგრ-

ძნობინოს, რომ იგი აი სად ცხოვრობს, რომ იმის ოჯახში აი რა პირები დაიარებიან!.. აი ამისთანა თვითმოტყუებით საესეა ეს ყმაწვილი და ეს აძლევს იმას სიმხნევს...

მეორედ იმაში ამიხილა თვალები მომხდარმა გარემოებამ, რომ მე **ვაჟკაცი** ვარ თავისს ოთახში, ვაჟკაცი ვარ **მართად-მართი**, სხვებთან დამოუკიდებლად, მაგრამ წარვსდგები თუ არა ადამიანის წინ, მე ვაჟკაცი კი არა მხდალი, ლაჩარი არსება ვხდები. სიმართლის წინ რომ აღვიარო, ასრეთი ჩემი თვისება რამოდენადმე **ღირსებას** წარმოადგენს: ეს იმას აჩვენებს, რომ მე **წრფელი** ადამიანი ვარ; როცა მე ვიქცევი ისე, როგორც დავასურათე, ამით მსურს ვაჩვენო, რომ მე არაფერი არ გამაჩნია, რომ ვიამპარტავნო. ის თვისებანი, რომელნიც შეადგენენ სიამაყეს ბევრეულისათვის, როგორც მაგალითად: ციკვა-თამაში, დაკვრა სხვა და სხვა საკრავებზე, სმმღე-კრა, ნიჭი ხალხის გართობისა გაქლესილის ენით და ქრელის ტყუილებით, მდადარი წარსული ქალთა მოტყუებაში და მოყვასთა კაცურ-ღირსების შელახვა დამცირებაში და სხვანი მრავალკვარნი ასრეთნი საუნჯენი მე არ გამაჩნია, რომელთა პატრონნი-კი, ჰხედვენ რა, რომ ჩამოთვლილნი სიკეთენი მე მაკლია, ამაყობენ ჩემთან, ამაყობენ **ჟალბი ბრილლიანბით**, რადგანაც ჰხედვენ, რომ მე არც **ჟალბი** მომეპოვება და **ნამდვილი** მით უმეტეს. მეც კი ვხედავ ამას და ამისთვის ვარ თავმდაბალი, მაგრამ მე იმათზე მაღლა ვდგავარ იმითი, რომ არავითარი სიყალბე მე

არ მინდა მოვიკარიო და იმითი ვინუგეშო თავისი თავი, მე ვარჩევ ვიყო არაფერი, ვიდრე წარმოვადგენდე ყალბ არსებას, როგორც ბრძანდებიან ისინი, ვის წინაშე ენა ვერ ამომიღია თამამად. მაგრამ ჩემს შეცდომას, საშინელს შეცდომას წარმოადგენს ის, რომ, როცა მე იმათ ვეპყრობი მონურის თავმდაბლობით, ამით მე ძალას ვაძლევ იმათ კადნიერებას, რომ თავი მოიწონონ ფუქსავატობით და იმედიდურონ იმათზე ძლიერთა წინაშე არაფრობით, ამით მე ვაქვებ ბოროტებას, ამით მე ხელს ვუწყობ, რომ სიყალბემ, ამაოებამ, ჰპროზამ და თვითმოტყუებამ გაიმარჯვოს სინამდვილეზე, სიმართლეზე, პოეზიაზე... ოჰ, საძაგლობავ!

12 ნომბერი.

ერთნაირი მდგომარეობა სულაერა და ზნეობრივი: ტანჯვა სულისა და ქენჯნა სვინილისისა. ქენჯნას სვინილისისა იმის გამო, რომ მთელა ჩემი სიცოცხლე უქმად განვატარე და ტანჯვა სულისა იმისაგან გამოწვეული, რომ უკან ჩამორჩენალი ვარ ყველასაგან, ან უკეთ რომ ვსთქვა, აღარც რჩეულთა კრებულში ვურვევივარ და აღარც უკან ჩამორჩენილ ბრბოს კრებულში. მძულს სიგლაზე და სისაძაგლე ბრბოსი, მიყვარს ადამიანური ცხოვრება, სავსე თავდავიწყებულის მისწრაფებით თავისუფლებისადმი, ღრმა სიყვარულით კაცობრიობისადმი, სავსე მისწრაფებით, რომ გავათავისუფლო თვისი თავი და მოყვასი ეჩმი მონურ მდგომარეობიდან და გავხადო დიდებულ

მოქალაქედ გაედემებულ მსოფლიოსი... მიყვარს ასრეთი ცხოვრება, მიყვარს მაგრამ აღარ ვცდებოვ, შრომით, ტანჯვით, სიციცხლისა და მთელი ძალღონის შეწირვით დავუახლოვდე ჩემს იდეალს. მე არ მინდა სიკვდილი, მე სიციცხლე მინდა; მონური, უაზრო, უშინაარსო ცხოვრება მე არ შემიძლია, მაშასადამე გამოიღვიძე ნიკო, დაიწყე შრომა, თავდავიწყებული შრომა, უარპყავ შენი საძაგელი სიყვარული—ერთგულდება პირუტყველ მოთხოვნილებათადმი, შენი **ცხოველური** ყვოიზმი! ნიკო! ვუცავარ იმას, ვისიც სასოება დამრჩენია გულის სიღრმეში, რომ მე შენ ჭირივით მძულხარ, მეზიზღები... ოჰ! თავისთავისადმი პატივისცემა დამეკარგა, მირჩენია მკვდარი ვიყო ამისთანა სიციცხლეს! მაგრამ არა, სიკვდილი არ მინდა, მე მინდა სიციცხლე, ისეთი სიციცხლე, რომ ყველა თვალეში მაფურთხებდეს, ფეხებს ტალახს ჩემზე იშმენდავდეს, მთელავდეს და მსლესავდეს, ქუჩაზე მიგდებულს, გამვლელ-გამომვლელი! მშვიდობით, **პატიოსანო** ნიკო, ხვალამდის! ეხლა წადი და იძინე, იგორავე, ისრეთის განსვენებით და უდარდელად, როგორც მატლი მიწაზე! უკაცრავად კი ვარ ძატლთან, რომ შენისთანა მყრალს, უწმინდურს, უსაქმურს და ცოცხალ-მკვდარ ადამიანს **ცხოველ** მატლს ვადარებ...

20 ნოემბერი.

ყოველი ადამიანი, გლახაცა და კარგიც, ჰკრძნობს მოთხოვნილებას სიყვარულისას, გულს სწყურია

და ითხოვს სიყვარულს. მეც მწყუროდა სიყვარული, მაგრამ სიყვარული იდეალური ქალისა, ციური ასულისა. წელიწადნახევრის წინეთ, მოსკოვში, მე მომეწონა ერთი უმანკო, მშვენიერი არსება. იმისი ყურადღება მოვიქციე კიდევაც. იმისი ნიჭი კი გამაჩნია, რომ ქალის წარმოდგენაში აღვძრა ცნობის მოყვარეობა ჩემს შესახებ და, თუ ვინცოდაა მომწონს და პატივისცემას ვგრძნობ იმისადმი, იმისგანაც გამოვიწვია ნაპერწკლები მცირეოდენი სიყვარულისა.

აგნიასი ყურადღება მოვინადირე, რის შემდეგ წერილი მიუგზავნე, სახელ მოუწერელი, აღსავსე იმისადმი უზომო სიყვარულითა და აღტაცებულის გრძნობებით იმისი სიმშვენიერისა გამო. იგი ბევრი შინაგანიღირსებებით არის შეჩუქული... უცნაური ის იყო, რომ აგნიასადმი მხოლოდ მაშინ ვგრძნობდი პატივისცემას და სიყვარულს, როცა მე ვგრძნობდი პატივისცემას თავისადმი, უმანკო, შინაარსიან და გონიერ ცხოვრებისა გამო. უმეტეს შემთხვევაში მისდამი გულგრილი ვიყავი, რადგანაც უმეტესი ჩემი დრო მიდიოდა უსაქმურად, ზანტად და ამისთვის გულ აკრუებული ვიყავი თავისს თავზე. ჩემში საქმები ის არის, რომ თუ თავისადმი პატივისცემას აღარა ვგრძნობ, მაშინ აღარ ვარ მედიდური. ბევრი ადამიანი-კი მედიდურობს **არაზრობით**, მედიდურობს იმითი, რომ **ამისთანა ვიჟავიო, ამისთანა შემოქალია ვიჟანო**; მე კი არ შემოქალია ვიმედიდურობს იმითი, თუ რაც ვიყავი, ანუ და თუ რად

შემიძლია გავხდე ფუქსავატ ოცნებების წარმოდგენით. ჩემთვის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმას, თუ ვარ მე **ახლა**, რას წარმოვადგენ მე **ახლა**, **მოწას**, თუ **თავისუფალ** არსებას. მე, რა თქმა უნდა, წარმოვადგენ **მოწას**, ამისთვის თავისი თავი მეჯავრება და მძაგს. მე რომ თავისუფალი არსება ვიყო, მაშინ შემეძლებოდა სიყვარული მშვენიერი და თავისუფალი ქალისა. საგანი ჩემის ტრუიალებითი მისწრაფებისა უმანკო და მეტის მეტად ახალგაზრდა არსება იყო, ამისთვის იმას ეგონა, რომ ჩემი გარეგნობა შეეფერება ჩემს შინაგანს, იმას ეგონა, რომ ჩემი მელანხოლიით და მწუხარებით აღსავსესახე გამოწვეული იყო გულის ტკივილით კაცობრიობის იმ ნაწილისადმი, რომელიც ტანჯვის ჯოჯოხეთში იდაგვება და იწვის... იმას ეგონა, რომ მე ვიყავი ის, ვითარი იმედებით, იდეალებით, ტანჯულთადმი უზომო თანაგრძნობით, მტანჯველთადმი ამაყი სიძულვილით, ვითარი აღტაცებით, გმირული აღთქმებით და ვაჟკაცური მისწრაფებით წინ, პროგრესისკენ, აღსავსე იყო ჩემი წერილი, მიგზავნილი აგნიასთან. იმას ყოვლისფერი ჩემს წერილში, მარალაც შესანიშნავ წერილში, ეჩვენა ნაღდად. იმან რა იცოდა, რომ ის იყო წამიერი გატაცების ნაყოფი. წამიერად მე ვიგრძენი, რომ მე ვიყავი არა ჩვეულებრივი არსება, რომ მე მომელოდა არა ჩვეულებრივი მომავალი, რომ მე უნდა ვიქმნე გმირი და მომელის უკვდავი სახელი. ეს ვიგრძენი წამიერად, რაიცა გარდავეცი ქალაქს და გაუზიარე აგნიას. იგი **მოწინავე**

სიყვარულით და სასოებით მეპყრობოდა. ცოტა ხანს მიხაროდა, ასეთ პატივს რომ ველირსე, მაგრამ შემდეგ კი უკმაყოფილება ვიგრძენი, სვინიდიისმა შემეწუხა, რომ მე, ფუქსავატი და სულითა გლახაკი, ვაჟკაცად და გმირად მივაჩნდი უმანკო არსებას. რაკი გამოვსცადე ასეთი უკმარობა და უკმაყოფილება, მე ვიგრძენი აგნიასადმი გულცივობა:—იგი შეჩვენა მე უბრალო მომაკვდავად. ჩემნი საკვირველი ის არის, რომ როცა ვგრძნობ თავისადმი პატივისცემას, მხოლოდ მაშინ მიყვარს ადამიანი და მაშინ მრწამს, რომ ქვეყანას ამშვენებენ ბრძენნი, მშვენიერნი და ყოვლად კეთილშობილნი არსებანი, უმისოდ-კი, ესე იგი, როცა მე თავის თავზე გულგაცრუებული ვარ, მძულს და მეჯავრება თავისი თავი.— მაშინ მე ყოველი ადამიანი ათვალწუნებული მყავს. ისე რომ, როცა დავრწმუნდი, რომ მე საძაგელი ვარ, აგნიაც ავითვალწუნე და ვაგრძნობინე იმას, რომ პატივისცემას იმისადმი აღარა ვგრძნობ. შემდეგ ამისა, მძინარე და ფლეგმატიურ ცხოვრებისა გამო, ნება მივეცი ერთს კუდაბზიკა ახალგაზდასაც, აგნიასა და იმისს მშობლების წინ, ისრეთის ამპარტაგნებითა და მიწასთან გამასწორებელის ამაყოებით მომპყრობოდა, რომ მე თითქოს **მონად** ვყოფილვიყავი დაბადებული... შემდეგ ამისა, ადვილად წარმოსადგენია, თუ როგორ უნდა მომპყრობოდა აგნია! მიუხედავად იმისა, რომ წრფელ სიყვარულს აგნიასადმი აღარა ვგრძნობდი (და აღარ ვგრძნობდი იმიტომ, რომ მე არ ვიყავი ის, რასაც ჰგონებდა აგნია და მოტყუება კი აღარა მსურდა),

მაინც, ჩვეულებრივ მეოხებით, ჩემთვის აუცილებელი შეიქმნა იმისი ხშირად ნახვა, მაინც მწყუროდა მე, აგნიას ხშირად შევხვედროდი და იმასთან ხშირად ვმდგარვიყავი (ეკკლესიაში).

დღეს ეკკლესიაში დამხვდა აგნია, თვისი დედით და დით: როგორც ამოუდექი იმას, ორთავე დებს აუტყდათ თავშეუკავებელი სიცილი, სატანური ხარხარი... მაგრამ ამ მწარე დაცინვამ, თითქოს მოველოდიო, მიწასთან როდი გამასწორა, მე დავიმსახურე იგი, ამისთვის თითქმის აუღელვებლად და გაქვავებულად ვიდექი იმათ წინ და ისინი ჩემს ჯალათებად რომ გადაქცეულყვნენ, ზორჩილებით წაუშვერდი კისერს იმათს მოქნეულ ცულს...

დღევანდელიდან დრო არის, რომ გონებას მოვეგო და მივატოვეო უკან დევნა აგნიასი, უკან დევნა იმ პირისა, რომლისადმი **წაფელ** სიყვარულს აღარა ვგრძნობ. დრო არის, გავიცნო თავისი თავი, რომ **მე არავინსი სიყვარული არ შემიძლია, სანამ არ მივხვდები ჩემს სასურველ მიზნებს...** მაშასადამე, დადუმდი, გულო! შეიკავე წყურვილი სიყვარულისა! იშრომე, ნიკო მხნედ, თავგამოდებულად!...

1902 წ.

13 იანვარი

დღეს ვიყავი წმ. სოფიოს ეკკლესიაში, სადაცა იყო აგნია და თვისი დედა. მე არ ვიცი, მიყვარს თუ არა აგნია, ეს კი ვიცი, რომ აგნიაზე არავინ

არ მიორჩევნია, იმაზე უპირატესობას არავის არ ვაძლევ.

აგნიასთან ეკკლესიაში ბრძანდებოდა ის პატივცემული მანდილოსანიც, რომელსაც მე ყურადღება მივაქციე ერთი თვის წინად. ერთი თვის წინ, მახსოვს, შევედი ეკკლესიაში მხიარული; სიცოცხლითა და სიყვარულით აღსავსე, ვგრძობდი წყურვილს რომელიმე ნაზი და საყვარელ არსებისათვის გარდამეშალა გულის წადილი და სურვილები. ამ დროს ის იყო აგნია შემოსულიყო ეკკლესიაში. მე დამებადა სურვილი, რომ აღმეძრა შური აგნიაში და ამისთვის ნაზი სიყვარულით აღსავსე თვალებით და სახიჯ დავუწყე ყურება ერთ ლამაზს მანდილოსანს, რომელიც ჩემს გვერდით იდგა და რომლის სახე მოწმობდა, რომ იგი იყო განათლებულთაგანი. აგნიას უკმაყოფილების ღრუბელმა გადაკრა სახეზე, რამაც კმაყოფილება მაგრძობინა. შემდეგში რამოდენჯერმე ვნახე ის მანდილოსანი, მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია, რადგანაც სრულიად განმიქრა ინტერესი იმისთვის შეყურებინა. გუშინ-კი ის მანდილოსანი, შემოვიდა თუ არა ეკკლესიაში, ჩემს გვერდით დადგა. ორიოდეჯერ ჩვენი თვალები ერთმანეთს მოხვდნენ და მე ვიგრძენი, რომ იმ ქალში აღმიძრავს არა მხოლოდ ცნობის-მოყვარეობა ჩემდამი... მე იმდენად გამიტაცეს სხვა და სხვა ფიქრებმა, რომ სრულიად გარდამავიწყდა ეს ქალი ჩემთან რო იდგა, აღბად უკანასკნელმა რამოდენჯერმე ყურადღება მომაქცია და რა დაინახა, რომ ჩემი გონება სხვაგან

ჰქროდა, მწარე ფაქრმა მოიცივა იგი, რადგანაც დარ-
წმუნდა, რომ ის მანდილოსანი სრულიად არ შეადგენ-
და საგანს ჩემის ფიქრებისას. ღრმა და მწარე ოხვრა
აღმოხდა იმას გულიდან; იმიღი კვნესა გულში ჩამ-
წვდა, იმისს ფერმკრთალ სახეს გულმტკივნეულ
ცნობის მოყვარეობით მივაშტერე თვალები... რად-
განაც ჩემი ყურადღება გამოიწვია იმისმა ოხვრამ,
ჩემი ყურადღება ემსგავსებოდა იმ მოწყალებას, რო-
მელსაც უბოძებს მდიდარი საწყალს, შეამჩნევს რა
უკანასკნელს დაძმარებულს სახეზე ტანჯვა მიყენებულს
შიმშილ-სიცივისაგან. ამისთვის იმ მანდილოსანმა,
ამპარტავენებით წაქეზებულმან, ძალდატანებით და-
ამთქნარა, რითაც სურდა ეჩვენებინა, რომ იგი არ
საჭიროებს ვისმესი თანაგრძნობას. ჩემმა ამპარტა-
ვენებამ კი გადააქარბა იმისს ამპარტავენებას: მე, გა-
ჯაფრებული იმის გამო, რომ ქალური ამპარტავენება
სცოცხლობს და ჰუბიზლობს იმაში, რამოდენჯერმე
დავამთქნარე ისრეთი ამაყი გულგრილობით, თით-
ქოს არავისი გულს ტკივილი ჩემს გულს არ მოე-
დება... ვაჰმე! ამ დედაკაცს თვალებზე ცრემლები
მოეჩქეფა, მწარე ცრემლები და იმისს სახეზე გამო-
იხატა სრული სასოწარკვეთილება...

მსურს, ნაჩქარებად, გამოვარკვიო ამ ქალის
სულიერი მდგომარეობა, ფსიხიკა:

როცა ტრფობით აღვზნებული სახე მივანათე
იმას, პირველად დადკადნიერებად ეჩვენა მას ესრეთი
ჩემი საქცაელი, მაგრამ რა დაინახა, რომ ორიოდე
წამის შექდეგ მე სრულს თავდავიწყებას მივეცი,

გარდავივიწყე იგი, ორივე ხელები გულზე დავიკრიფე და ნაზ მელანხოლის, ჩვეულებრივ სევდას თავი მივეცი,— მაშინ იმ ქალმა იგრძნო, რომ იმისს წინაშე სდგას არა ჩვეულებრივი არსება (უბედური, რა სასტიკად მოსტყუვდა!) და ამის შემდეგ ჩემს ალერსს და სიყვარულის შუქს, რაიცა წამიერად მივაგებე, იმან **ფასი დასდო**. ჩემი **ალმასი** შეეხო ამის გულის ძველს ქრილობას, ძველს სევდას და გამოარკვია იგი ახლანდელ უაზრო და უსაფუძვლო თვითკმაყოფილებისაგან. გაითვალისწინა იმან თვისი სიყმაწვილე, ქალწულის წმიდა ოცნებანი: იმას სწყუროდა სიყვარული ისრეთის ჰაბუკისა, რომელიც შესძლებოდა იმას ვაელმერთებია... მაგრამ ვაჰმე! ბედმა არგუნა იმას მდიდარი, გულ-კეთილი ადამიანი და სიყვარულის გრძნობას კი მოკლებული. იმას სწყუროდა სატრფო-მეგობარი, ბედმა არგუნა კი გრძნობა ჩლუნგი ადამიანი, რომელიც კარგად ასმევს-აჰმევს, აცმევს... და ჰგონია, რომ ყოვლისფერი ეს — სრული ბედნიერების მონიჭებელია და ამათ ვარეშე სხვა ბედნიერება არ არის... მე კი იმ მანდილოსანს განუახლე ქალიშვილობის ოცნებანი... იმან იგრძნო ჩემდამი **მადლობა** და **საყვამური** — ორივე ერთად: მადლობა იმიტომ, რომ იმას განუცხოველე წარმოდგენა ნაწად და ნაძებნ ბედნიერებაზე, და საყვედური კი იმიტომ, რომ რას ვერჩოდი იმ ქალს, რისთვის შევეხე ძველს იმისს ქრილობას! რად გავახსენე ის დაკარგული ბედნიერება, რომელსაც ვერავინ იმას ვერ დაუბრუნებს.

საწყალი! მე გავიგე, რომ იგი მდიდარი ვაჭრის ცოლია, ხუთი შვილის პატრონი, რომლებიც შვიდს წელს არ აღემატებიან. დღეს ეკლესიაში თვისი ქმრით და შვილებით პირველად დავინახე იგი. მე აღრე მოვედი საყდარში. ეს მანდილოსანი, შემოვიდა თუ არა ქმრით და შვილებით, საყდარში, ჩემსკენ წამოვიდა და ჩემს გვერდით დადგა. შვილებისა და ქმრის დანახვაზე მე სრულიად გამოვიცვალე: მე ვიგრძენი იმისადმი შვილური და ძმური თანაგრძნობა და პატივისცემა...—

14 იანვარი.

ზომიერება, ზომიერად სიყვარული, ზომიერად მისწრაფება იდეალისადმი—აი რით შეიძლება დავახასიათო წინა აღექსანდრეს ასული ჯა იმისი მსგავსნი.

იმათი ოცნება, იმათი ფანტაზია არასოდეს არ იხატვენ აღთქმულს მხარეს თვისი ბუდის და სახლკარის გარეშე.

ვარსკვლავებისკენ და მზისაკენ არასოდეს არ მიილტვის იმათი სული.

საწყალნი და უბადრუკნი! მეჯავრებით, მეზიზღებით მე თქვენ ისე, როგორც მოყიყინე ბაყაყი. როცა მესმის ბაყაყის ყიყინი, მაშინვე ვგულისხმობ, რომ ახლოსა ვარ მყრალ ტბასთან და ნოტიო წუმპესთან. როცა მესმის თქვენი სჯა-ბაასი მალალ საგნებზე, მაშინვე ვგულისხმობ, რომ ნასესხებია თქვენი წამიერი აღტაცება, მონაპარია ის ნათელი აზრები, რომლებსაც თქვენ თუთიყუშივით იმეორებთ და თქვენი გული და გონება არას დროს არ გასცილ-

დებიან იმ ამღვრეულ, უწმინდურ ტბას, რომლის გამათბობელ წიაღში თქვენ განისვენებთ კმაყოფილებით!

ვაშა, ვაშა თქვენს სათნოებას! ..

15 იანვარი.

მიუხედავად იმისა, რომ სრულიად მოკლებული ვარ წერის ხალისს, მოკლებული ვარ სურვილს, გაგმართო ბაასი ჩემ შინაგან „მე“-სთან, მაინც თავს ძალა უნდა დავატანო და ცოტათი მაინც მოვასულიერო ჩემი უბედური, მკვდარი არსება.

მკვდარი ვარ, მკვდარი, მკვდარი! თუ არა მკვდარს, გაგონილა ცოცხალ ადამიანს არაფერი არა სურდეს: არც სიმდიდრე, არც დიდება, არც განათლება, არც განცხრომა-მხიარულება, არც ტირილი-მწუხარება; — არავინ არ უყვარდეს; არც თავისიანი, არც გარეშე, არც მახლობელი, არც შორეული. მე კი ასრფთს მდგომარეობაში ვიმყოფები. და ასრეთ მდგომარეობაში მყოფი, თავი რო დავახწიო სულის შემხუთველ მოწყენილობას და მარტოობას, მივრბივარ მახლობელ მეზობლებთან. მაგრამ, ღმერთო ჩემო! ფუქსავატობა, სისულელე, სიპირუტყვე, თუთიყუშობა და უაზრობა ამ ადამიანებისა უფრო გულს მიკლავს და წყლულს წყლულზე მიჰატებს: **ცოცხლებს** ვეძებ და მკვდრებს, ლეშებს-კი წავაწყდები ყოველგან. მე, მკვდარი, იმათზე უფრო ცოცხალი ვარ და იმათი ნუგეშინისმცემელი და სიხარულის სხივის ოდნავ მომფენელი, ჩემდა უნებურად, მევე

შევიქნები ხოლმე. ისინი კმაყოფილნი და მე-კი გულ-
დაკოდლილი ვზორდები სულ მუდამ იმათ. ჩემი იმათ
არაფერი არ გაეგებათ, არ გაეგებათ, არ იციან, არ
გრძნობენ, მე დალხენილი ვარ თუ ტანჯული, რას
ველტვი და რას ვეთაყვანები. ისინი ჩემზე სჯიან
ორგორც თავიანთ თავზე; იმათ ჰგონიათ, რომ მეც
იმ ბედნიერების მაძებარი ვარ, რასაც ისინი და იმა-
თი მახლობელნი გუნდრუკს უკმევენ. რა იციან, რომ
ჩემსა და იმათ შორის უფსკრულია. მე იმათთან კავ-
შირი არაფერს არ მომცემს, რასაც არ წამართმევს.
ამისთვის გთხოვ, ჩემო ნიკო, იმდენი სიმტკიცე მაინც
გამოიჩინო, რომ იმათ აღარ მიეკარო!

არავენ, არავინ, არავინ—აი ჩემი ცხოვრების
დევიზად ეს უნდა გავიხადო მანამ, სანამ ცხოვრების
სარბიელზე არ გამოვსულვარ.

ღმერთი—იდეალი, ღმერთი—იდეალი, ღმერთი
—იდეალი,—აი ამათ უნდა ვსცე მე თაყვანი.

უნდა ვიწრომოდ კეთილსინიდიისიერად. მომავა-
ლი რასაც მომიტანს—ღვთის ნებაა და იმისს ნებას
მივენდობი.

17 იანვარი.

რით აიხსნება ჩემი მონური მდგომარეობა? რით
უნდა ავხსნა ის გარემოება, რომ მე **მეშინია** ადა-
მიანის, რომ მე **მთრთი** იმისს წინაშე, რომ მე არ
მიმაჩნია ჩემი თავი იმისს **თანასწორად** და ამისთვის
არ შემიძლია ვიქონიო იმასთან უბრალო, ამხანა-
გური დამოკიდებულება?

* ასრეთი ჩემი ქცევა და ასრეთს მდგომარეობაში ყოფნა მიეწერება ჩემი ბუნების კეთილშობილებას და აიხსნება შემდეგის გარემოებით:

მე არ მიმიძღვის არავითარი **ზრობა**, არავითარი **ღვაწლი** ჩემი მდგომარეობის გაუმჯობესობის, ჩემი ბუნების სულიერ მხარეთა გაშლისა და განვითარების საქმეში. მე არ მიმიძღვის არავითარი **ღვაწლი** საზოგადოების წინაშე და სრულებით მოკლებული ვარ მომზადებას, ცოდნას, გამოცდილებას, უნარს შევიტანო მკირვოდენი წვლილი ჩემის მხრით იმ საზოგადო საქმეში, რომელიც ზრუნავს კეთილდღეობა მიანიჭოს საზოგადოებას და იმისს თვითოეულს წევრს.

თუ სხვას უპირატესობას ვაძლევ ჩემი თავისს წინ ეს იმიტომ, რომ, მე მგონია, სხვამ ჩემზე უფრო მეტი იშრომა, ჩემზე უფრო მეტი გააკეთა, ჩემზე მეტი შეიძინა ცოდნა-გამოცდილება და ჩემზე უკეთ შეუძლია სინათლის შეტანა საზოგადოებაში....

20 იანვარი.

მიუხედავად იმისა, რომ ვგრძნობ საშინელს წყურვილს სიყვარულისას ქალისადმი, მაგრამ, მე მგონია, მოკლებული ვარ ნიქს, ახლანდელი ქალი შევიყვარო. არ შემიძლია შევიყვარო **თანამედროვე** ქალი, რადგანაც აღსავსეა იგი ათასგვარ ნაკლულევენებით, ბიწიერებით, ათასგვარ უკანონო და ცოდვილ სურვილებით. ამისთვის ჩემი სიყვარული უნდა გარდავიტანო წარმოდგენილს ქალ-ღმერთაზე, ჩემს

მფარველ ანგელოზზე, ჩემს კეთილის-მყოფელ გენი-
აზე,—ესენი უნდა შევითვისო და შევიყვარო სული-
ერის, წმიდა საყვარულით.

წარმოდგენილს ღვთაებრივ არსებას, ყოვლად-
სახიერს, განხორციელებულ უმანკოებას და მწვენი-
ერე²ას—აი ვის უნდა ვეთაყვანო და ვისდამი უნდა
აღვავლენდე მხურვალე ქებათა-ქებას და ლოცვას,
უქანკო გულიდან აღმომჩქეფარეს.

ნიკო! იყავ მტკიცე და შეუღრეკელად აღას-
რულე ეს აღთქმა შენი შინაგანი არსების, შენი სვი-
ნიდისის-მიერ შთაგონებული—ნურც აგნიას და
ნურც სხვას ნუ გაიხდი საგნად შენი საყვარულისა,
ცხრაკლიტულში ჩაჰკეტე შენი გული, რომ ქალს
არ შეეძლოს მისი აძგერება! დაუახლოვდი ღმერთს,
იდევალს, ჰეშმარიტებას! გაექეცი, მოშორდი ქალს,
ვინც უნდა იყოს! აბა, ნიკო, შენ იცი, თუ აღას-
რულებ აღნათქვამს!

21 იანვარი.

დღეს მსურს ორიოდე სიტყვა ვსთქვა ლიდია-
ზედ, გამოვესაუბრო იმისს უკვდავს სულს. სამი წლის
წინად ეს ქალიშვილი აღსავე იყო სიტურფით, სი-
კეკლუცით, იმედი თავისს ბრწყინვალე მომავალზე
ცხოვლად ჰქონდა აღბეჭდილი მწვენიერს და უქან-
კო სახეზედ, მიხვრა-მოხვრა ჰქონდა მტკიცე, ენერ-
გიული, კილო ლაპარაკისა ძლიერი, დღეს-კი, ღმერ-
თო ჩემო! იგი ლანდია იმისი, რაც იყო. სიარული
სუსტი, ლაპარაკი და გამოთქმა ავადმყოფისა და უძ-

ლურ-სა, მისს თვალებს აღარ ეტყობა წინანდებური ბრწყინვალეობა და შუქმფინარება. ნეტავ გამაგებია მიზეზი, რამაც ეს ქალიწვილი მიიყვანა ამ მდგომარეობამდე. სამწუხაროდ, პირად არ ვიცნობ იმას რომ ვიცნობდე, ძმურად, მეგობრულად მივეხმატებოდი და, ვაგრძნობინებდი-რა, რომ ის დაა ჩემი და იმისთვის კეთილდღეობა ისე მენატრება, როგორც საკუთარის თავისათვის, გამოვკითხავდი—თუ რამ გამოიწვია ასრეთი სამწუხარო ცვლილება იმაში? რატომ არ არის იგი მზიარული და ბედნიერი? კარგი იყო და ჯკეთესი უნდა გამხდარიყო. მაგრამ მე მრწამს, რომ ასრეთი მდგომარეობა ლიდიასი დროებითია, რომიგი თავს დაახწევს უძლურებასა და დაიბრუნებს სიციხოველეს, სიმშვენიერეს და შეიქნება იგი ძლიერი, კეთილშობილი ქალი, რომელიც აღადგენს, გააკეთილშობილებს, გააძლიერებს ბევრს დავარდნილს და სულთ დაცემულს. ყოვლად ძლიერო, შენ იყავ მფარველი ლიდიასი!

22 იანვარი.

მე მსურს, რომ ვიყო თავისუფალი. მსურს მშვენიერის, მამაცის და კეთილშობილ ადამიანის სიწრფელით, სიმტკიცით და სიყვარულით გაუსწორო თვალები გმირს, წმიდანს, წინასწარმეტყველს.

მსურს მივფინო ქარიშხალი ჩემის უკმეხობის, მიწასთან გამასწორებელ ათვალწუნების და გულგრილობის ცრუ არსებას, გერცოგი იყოს იგი გინდ პრინცესა, რომელიც ლანდია ადამიანისა და თავი კი მოაქვს გმირად და ზღვათა მეფად.

1 აპრილი.

მზეო, ამოდი, ამოდი! გაანათლე, გააუბე, გა-
ამშვენიერე ქვემო დედამიწა და ზემო ცა!

მზეო, ამოდი, ამოდი! გაანათლე, გაამშვენიერე,
გაახარე ჩემი გული!

გულს შეუყვარდა **იდეალი**, რომლისადმი მის-
წრაფება, მხურვალე ლოცვის აღვლენა, მოწიწებითი
თაყვანისცემა კი არ ამდაბლებს ადამიანს სულიერად,
კი არ ჰხდის იმას მონად, როგორც, მაგალითად,
სიყვარული ქალისა, არამედ ანიჭებს იმას, თან და
თან, სრულს თავისუფლებას, ანგელოზურ სიწმიდეს,
უახლოვებს იმას ღვთაებას, სანამ სამარადისოდ არ
შეაერთებს იმას წმიდას კავშირით ღმერთთან.

გონებას სწყურია მუდამ სრნათლეში ყოფნა,
გულს—მუდამ სინორჩე, უბიწოება, აღსავსეობა ცხო-
ველ სიყვარულის ანკარა წყაროით; უკვდავს სულს
სწყურია მუდამ თავისუფლება, სიხარული და აღმა-
ფრენა, მუდამ ფრთები ანგელოზისა, რომ გაინავარ-
დოს, როცა მოისურვებს, იდეალის სამეფოში, იბა-
ნავოს იმის უზარმაზარ და გონების წარმტაც მთის
წიაღზედ მჩქეფარე ნექტართა ტაბებში და მიმობრუნ-
დეს დედამიწაზედ განწმედლი, ჰაეროვანი, უმანკო
და მშვენიერი.

იდეალო, ამოდი, ამოდი! გაანათლე, გაამშვე-
ნიერე, გაახარე ჩემი გონება, გული და სული!

2 აპრილი.

ჩემო კეთილისმყოფელო გენიავ!

გთხოვ, შემოგვედრები: შენ ნუ დაიშურვებ ჩემთვის აღმომჩქეთარეს შენის მკერდიდან სამკურნალო რძეს! მასვი მე უხილავი უკვდავების ნექტარი შენი ძუძუებისა!

დაძიბრუნე მე პირვანდელი უმანკოება, მომანიჰე მე სიცხოველე და გრძნობიერება ახლად დაბადებულის გენია-ბავშვისა.

გარდამავიწყებიე მე ის, თუ რაც ვიყავი და ვარ! გარდამასახლე მე წმიდათა სამკვიდრებელს სამოთხეში და მუნვე აღმიხილე თვალები!

ღეე გამითენდეს მე ხვალინდელი ღღე **ახლად, პირველად!**

3 აპრილი.

შენ შემოგვედრები, ჩემო **კეთილისმყოფელო გენიავ!** მომანიჰე მე პირვანდელი აღტაცება, აღმაფრენა და სიხარული, პირვანდელი იმედი, სასოება და სარწმუნოება, დაგვირგვინებულნი ახალის მადლით-სიწმინდითა და სიბრძნით!

ამ ციურ სათნოებათა პირად ჩემთვის კი არა გთხოვ, არამედ მისანიჭებლად არ ქვეყნიურის შეება-ბოდნიერებისა მოყვასისადმი!

მსურს აღვადგინო, აღვამაღლო, ფრთები შევასხა ჩემს მოძმეს!

მსურს ვაგრძნობინო, გარდაესცე ყოველ სულიერ არსებას, ვინც დაჰყოფს ჩემთან რამოდენიმე წუთსაც-კი, უსაზღვრო, ბავშური, ანგარიშ-მიუცემელი სიხარული!

მსურს ადაპიანს, მომშორდა თუ არა, მიუხედავად იმისა, რომ არ დავსაჩუქრე ოქრო-მარგალიტით, თან გაჰყვეს გული ისე გამდიდრებული იმედით, სარწმუნოებით და სიყვარულით, რომ უნებურად აღმოჰხდეს იმას თვისის არსებიდან ცხოველი სიმღერა: — „ამოჩუხჩუხდი სპეტაკ გულიდან **ანკარა წყაროვ სიხარულისა!** მომანიჭე სიგრილე და სიტკბოება! დაიმკვიდრე ჩემი სულის საკურთხეველში **ნათელო ანგელოზო!** ნუ განმეშორებით ნურასოდეს! ნუ განმეორდება ჩემთვის გუშინდელი და წარსულის მწუხარება, სასოწარკვეთილება და უმოქმედობა! დეე დავრჩე უცვლელად იმ ნათელ მდგომარეობაში, რომელშიაც ვიმყოფები: მხიარული, უმანკო, მხნე, მომქმედი და ბედნიერი!“

1903 წ.

17 მაისი.

შენ შემოგვედრები იდეალო, ნუ მომაკლებ შენს ცხოველმყოფელ სხივებს, ჩემს აღმაფრთოვნებლებს, ჩემს მომნადირებლებს შენის მზისაკენ! აღმომკვეთე მე დედამიწიდან, რომელზედაც მიკრული ვარ მე და ძიჯაჭეული! შენის მზისაკენ არ მიშვებს მე იგი, იმან გულში ჩამიხუტა და მპირდება აღერსს, სიყვარულს, ბედნიერებას, დაუსრულებელს ჩემს სიკვდილამდე! ხორციელ მოთხოვნაზეთა და ყოველოვარ ვნება-სტრვილთა საფსებით დაკმაყოფილება, ლხენა და სიხარული სიკვდილამდე—აი რას აღმით-

ქვამს ჯილდოდ ჩემის ერთგულებისა მისდამი დედამიწა.

8 ივნისი.

მე მსურს მთელი ჩემი ძალ-ღონე და ნიჭი შევსწირო იმას, რომ ქალი გავიტაცო იდეალისაკენ. უნდა განვაცილო სატრფო სატრფოს, უნდა შევაძლო ერთმანეთი და მივმართო იმათი გული და გონება გმირისაკენ და ღვთისაკენ.

საზიზღარი მამაკაცი დეე დარჩეს შერცხვენილი თვისი პირუტყვულ ვნებათა-ღელვით!..

იდეალი—აი ვის უნდა ეთაყვანოს ქალი. შორს პირუტყვნო ადამიანნო!

5 ივლისი.

I

მსურს, რომ გავხდე თავისუფალი, როგორც ფრთოსანი. მხიარული ვარ, თუ მწუხარე, დეე მშვენიერის მელოდიითა და ჰარმონიით აღივსოს ჩემი სული და გული. დეე ჩემი გალობა იყოს ისრე საამურად ხმაშეწყობილი, რომ ჩემს მოყვასს აღარ შეეძლოს გაგება—მწუხარება აღმომჩქეფარებს ჩემის გულიდან თუ სიხარული.

II

მსურს არამც თუ მე თვითონ ვიყო განხორციელებული იმედი და აღსავსე სასოებითი სიყვარულით ბრწყინვალე მომავალზე, არამედ უმეცარიცა და მეცნიერიც მსურს გავიტაცო იდეალისაკენ.

ზეციერის წინაშე მთხოვნელი ვარ მხურვალედ,

თავგანწირულის სულისკვეთებით, ტანჯვითა და ცრემლებით ანგელოზურის ცხოველმყოფელობისა, აღფრთოვნების, აღღაცების, არ-ქვეყნიურის სიყვარულით აღმაფრენისა, რომ შემეძლოს მივფინო სხივი ჩემი შინაგან ბედნიერებისა, მზეობისა და ძლევამოსილობისა ადამიანს; აღმოვიყვანო იგი დედამიწის უფსკრულიდან და დაუახლოვო ციავს მზესა და ცეცხლთმფრქვეველ ვარსკვლავებს...

25 სექტემბერი.

აგნია უნდა გავიტაცო იდეალისაკენ...

ნიკო! გაფიცებ ღვთის სიყვარულს, თავი შესწირე შემოქმედებითს შრომას! გახდი გმირი, წინასწარმეტყველი, ან ბოლო მოუღე შენს უნაყოფო სიცოცხლეს!

უარყავ პირადი სიყვარული. გიყვარდეს ქალი არა შენთვის, არამედ იმისთვის, რომ შენმა მეგობრობამ დაუახლოვოს იგი ღვთაებას, გახდეს იგი მშვენიერი, ბრძენი, ბედნიერი, ნეტარი არსება, გახდეს იგი ქეშმარიტი დამცველი **ადამიანის** ღირსებისა და უფლებათა და სახელოვანი, საყვარელი მოქალაქე მსოფლიოსი.

4 ოქტომბერი.

წმიდის გულით, მთელი შენი ნათელ გონების სიძლიერით შეუდექი შენი სასურველ იდეალის განხორციელებას!

შორს ძიებავ პირადი, **იაზ-ვასიან** ბედნიერებისაჲ! **შორს სულელობავ წარსულისა!**

შორს უკანდევნავ ქალისა! სულიერად მახინჯს, გონებრივად მხდალსა და ამაო მორწმუნეს, გულითა და გრძნობით საწყალს, ბეჩავს და ბედოვლათს არსებას მე ვერ შევითვისებ. მშვენიერისა და ბრძენის ქალის დევნა-კი ჩემის მხრით სასაცილოა. შემთხვევით და შეცდომით კიდევაც რომ თანაგრძნობა გამომიცხადოს მშვენიერმა ქალმა, ხომ უნდა მომკლას და ბოლო მომიღოს სირცხვილმა! აბა რა ბედნიერება შემიძლია მივანიჭო ასრეთს არსებას, მე სულიერად ლატაკმა, გონებით საწყალმა და შესაბრალოდმა?! არა და არა. **სიხვარული** ჩემი საქმე არ არის, რადგანაც მე **პირუტყვი** ვარ და მხოლოდ პირუტყვულ საზიზღარ ვნებათა-დღღვით აღსავსე.

მეგობრობის ნიჭი მე არა მაქვს, რადგანაც ამისთვის საჭიროა რომ ვიყო წმინდა, სწავლა-განათლებით ჭაღჭურვილი, ბრძენი, გულადი ვაჟკაცი. მე კი უწმინდური ვარ, უმეცარი, ბრიყვი და მშიშარა.

10 ოქტომბერი.

რა დაგემართა, ნიკო! მგონი შემოგეპარა სულიერი სიკვდილი და ჰლამის გაგხადოს უპიროვნო, უსახურ და ზეჩავ ლანდად ადამიანისა.

სად არის შენი მხიარული და ვაჟკაცური სიმღერა იმედი ბრწყინვალე მომავალზე?

სად არის შექმფერნარე იდეალი შენი?! სად არის შენი ბავშური აღფრთოვნება, აღტაცება და სიყვარული?!

11 ოქტომბერი.

აღსდგინ, ნიკო! გამხნევი, შორს სასოწარკვეთილებავ! შორს უმოქმედობავ! შორს აჩრდილო სიკვდილისაო, შენ რა ხელი გაქვს ჩემთან! შორს უკულმართო სატანავ!

შენ შემოგვევდრები, ჩემო მფარველო გენიავ, ნათელო ანგელოზო! შენ შეიწყნარე ჩემი მარტობა და სულის სიობლე, გამომიჩნდი სულიერ მეგობრად და აღმოჩიყვანე სასოწარკვეთილების უფსკრულიდან უვნებელად!...

15 ოქტომბერი.

როგორც ამ დილას მთელის ჩემის არსებით აღსავსე ვარ კმაყოფილებით იმის გამო, რომ აღნთებულა ჩემი სული და გული შუქმფინარე იმედით, გონება რწმენით, რომ შემიძლია გახვატარო ჩემი სიცოცხლის დღენი ბედნიერად,—ისე ყოველს დღეს მე მსურს ვგრძნობდე ასრეთსავე მხნეობას და სულიერს მშვიდობას. მშვენიერო, შინაგანო ნიკო ჩემის არსებისავ! გაფიცებ ღვთაებას—შეიტკბე და შეიყვარე იმედი! სიყვარული და მოქმედება—აი ამ ორის საგნით განმსჭვალე, გაასხივცისკროვნე და განაძლიერე შენი არსება!

იყავ მარადის ფრთხილად და ნუ შემოაუშვებ შენს არსებაში სასოწარკვეთილებას!

შენ თვითვე იყავ თვისი მსაჯული და შენს ღირსებასა და ნაკლულევანებას თვითვე დასდევი ფასი!

ადამიანი, ვინც უნდა იყოს, გარდა წინასწარმეტყველისა, გმირისა და გენიოსისა, ყველა ცრუა და იმისი აზრი შემცდარია შენს შესახებ.

ადამიანი, ვინც უნდა იყოს, გარდა მშვენიერისა და ბრძენის ქალისა და გარდა ძვირფასის შენის მეგობრისა, რომელიც შეითვისა—შეიტკბო გულმა,— ცრუა, უგუნური და სულელი; და იმისი აზრი შენს შესახებ და იმისი გულგრილობა შენის იდეალისადმი აზრია რეგვენისა და გულგრილობაა ჭკუა—შეშლისა.

17 ოქტომბერი.

თავი შესწირვ მოქმედებას და მოქმედებაში მოკვდი! უბრალო მომაკვდავი ხარ, მაგრამ ემსახურე იმავ იდეალს, რომელსაც ემსახურებოდნენ გმირნი და ბრძენნი!

შეუდექ აღსრულებას ღვთის ნებისას იმავ სიმტკიცით და თავგანწირულობით, როგორითაც ასრულებდნენ ღვთის ნებას წინასწარმეტყველნი!

19 ოქტომბერი, კვირა.

იყავ უბრალო, წმიდა, მხიარული და ბრძენი! გრწამდეს უკვდავება ადამიანისა და კაცობრიობისა! გრწამდეს, რომ, როგორც მცირედი სხივიც-კი მზისა ათბობს და ახარებს გულს, აგრეთვე ის წმიდა სიყვარული, რომლითაც შენ გამსჭვალული ხარ ადამიანისადმი, გულს გაუთბობს უკანასკნელს, იმედს აღუდგენს და მისწრაფებას უკეთესისადმი განუძლიერებს!..

20 ოკტომბერი.

მხოლოდ მაშინ გამიზიარე, ჩემო მოყვასო, შენი აზრი, როცა შენ ღრმად შეისწავლე შენ მიერ აღრჩეული საგანი!

თუ ღმერთი გრაწმს ისაუბრე ნათლად და უბრალოდ! ისაუბრე მუსიკალურად, ჰარმონიულად! ისაუბრე ისე გრძნობიერად, თითქოს ძვირფასს სატრფოს უზიარებდე შენს გულისპასუხს!

•თუ არ შეგიძლია ჰარმონიულათ და ტურფად საუბარი, ხმას ნუ ამოიღებ! გაჩუმდი, ენა დაიდუმე!

21 ოკტომბერი.

მონაა იგი, ვინც ემორჩილება ვნებათა ღელვას და ხორციელ გულისთქმას. **თავისუფალია** იგი, ვინც გრძნობს, რომ იგი მეფეა მდაბალ ხარისხოვან სურვილებზე. **თავისუფალია იბი**, ვისაც უყვარს წმიდის სიყვარულით ყოველი სულიერი არსება;— ვინც უწმინდურს გრძნობას წამისუმაღვე განაძევებს თავისს არსებიდან;— ვინც არ იცის, რა არის შური, რადგანაც საგანი იმისი ტრფობისა იდეალია...

22 ოკტომბერი.

ღმერთო! თუ ვინიცობაა შევიქენი იმდენად უბედური, რომ ველარ მოვასწარი განვიხორციელო უკეთესნი მისწრაფებანი,—ნუ უგულვებელს ჰყოფ ჩემს ბეჯითს თხოვნას:—

შემძლებიე გარდავსცე ვისმე, უანდერძო ვისმე, მკაფიოდ და ცხოვლად, მისწრაფება და განხორციელება იმ იდეალისა, რომელსაც ჩემი შინაგანი არსება ეტრფოდა და რომლისაკენ ნატვრით მიილტვოდა.

8 ნოემბერი.

ახ, ნეტავ გავხდებოდე ისრეთი ბედნიერი, რომ შევიძლებდე ყოველი ქალის ძმურის სიყვარულით შეთვისებას!

ნეტავ გავხდებოდე ისრეთი ბედნიერი, რომ შევიძლებდე ვიქონიო ქალთან, ვინც უნდა იყოს, წმინდა, ნათესავური, კეთილი კავშირი!

იდეალო! იმიტომ გეტრფი და იპიტომ ისწრაფვის შენდამი სული და გული, რომ შენთან სიახლოვემ და შენმა სიყვარულმა ისე გამაკეთილშობილოს და განმწმინდოს, რომ შევიძლო ვიქონიო ადამიანთან ანგელოზური, სპეტაკი, წრფელი დამოკიდებულება.

10 ნოემბერი.

იდეალო! შენ შემოგწირავ საკმეველს წმიდის გრძნობისას, რომლით სავსეა სალოცავად განმზადებული ჩემი არსება!

შენს გარეშე მე უარსყყოფ საგანს ჩემი სიყვარულისას! მხოლოდ შენ მწყურისხარ და შენ გნატრობს სული და გული!

ერთად ერთი შენა ხარ მალამო ჩემის გონების,

ადამიანთა შორის ვერ მპოვნელის ისრებით ნათელ, მშვენიერ და ჰარმონიულის არსების, რომლისადმი გამსჭვალულიყო მოწიწებითი თაყვანისცემით და სასოებითი პატივისცემით.

13 ნოემბერი.

მე, ზოგიერთ შემთხვევაში, აღვივები ხოლმე რწმენით, რომ შემიძლია ვიქონიო ადამიანზე, ვინც უნდა იყოს, ძლიერი გავლენა:—შემიძლია ჩავაგონო თვისი თავის გაწირვა სათნო ცხოვრებისათვის, საგმირო ღვაწლისათვის;—შემიძლია დავადებო იმას კუდს გზაზედა სიარული და მსახურება ეშმაკისა...

15 ნოემბერი

შენ უნდა იცეკვაო მარტოდ-მარტო, შენს ოთახში, ან და რჩეულთა შორის, მხოლოდ იმის გამო, რომ მიაღწიეს ულიერს წარმატებას, დასთრგუნე ბოროტი, განაძლიერე კეთილი!

როცა წმიდის აზრით განიმსჭვალა შენი გონება, გულში დაისადგურა კეთილშობილმა გრძობამ, რომლისაგან ეს-ეს არის უნდა გაჩაღდეს ცეცხლი, აი მაშინ უნდა ააცეკვაო შენი ფეხები, მაშინ შენ უნდა მისცე სრული თავისუფლება შენს აღტაცებას, აღფრთოვნებას, სიმარდეს და სიკეკლუცეს!..

7 დეკემბერი.

უნდა შევსწირო თვისი თავი იმას, რომ განვაფითარო უკიდურეს ხარისხამდე ის კეთილი თუ

ბოროტი ძალა, რაიცა ჩემს არსებაში ჰსადგურობს; უნდა განვაძლიერო, ვაქციო უსაშინელეს ცეცხლად ის ნაპერწკალი სიყვარულისა თუ სიძულვილისა, სიკეთისა თუ უკეთურობისა, რაიცა ღვივის ჩემს არსებაში.

უნდა შევისწავლო მე თვისიათავა, უნდა გავიგო, რა სწყურია ჩემს გულს, რა ენატრება სულს, რას ელტვის ჩემი გონება.

თუ მწყურია სიწმიდე უფრო, ვიდრე უწმინდურობა, უნდა მივახწიო სიწმიდეს.

თუ მწყურია სიბრძნე უფრო, ვიდრე სიბნელეში ყოფნა, უნდა მივახწიო სიბრძნეს.

თუ მწყურია უფრო, რომ ჩემი მოყვასი იყოს მშვენიერი, კეთილი, განათლებული, ბრძენი და წმიდა, ვიდრე მახინჯი, ბოროტი, ჩერჩეტი და საძაგელი, — ჩემი მისწრაფება უნდა იყოს მიმართული იმისადმი, რომ ხელი შეუწყო იმისს აღყვავებას სულიერად და გონებრივად.

9 დეკემბერი,

ახ, ნეტავ შევიძლებდე დღევანდელის დღედან შემდეგი საგნების განხორციელებას:

ა., დღე და ღამ მოუსვენებელ შრომა-მოქმედებას.

ბ., ყოველი ქვეყნიური კერპას, იმათ შორის აგნიასა და **თანამედროვე ეკლესიის** ამოგლეჯას გულიდან და მეხსიერებიდან.

გ., ლოცვასა და ვედრების აღკლენას **განმარ-**

ტოვებულად მხოლოდ ღვთისა და კეთილისმყოფელ გენიასადმი, რომელიც ყოველის შემძლებელ სიყვარულის ბედნიერი შვილია, გამომავალი ღვთის მკერდიდან.

შეეთვისე, ნიკო, მხოლოდ ისრეთს საგანს და არსებას, რომლებთან დაახლოვება ფრთებს კი არ დაგაყრევინებს და, ზეცისკენ მკრინვალეს, მიწაზე არ ჩამოგიძახებს, იმის უფსკრულში დასანთქავად, როგორც მაგალითად **თანამედროვე ეპაქსნია**, მიწის მტვერზე მიმკერებელი, სულის დამჩიავებელი და დამმონავებელი, განხრწნად ნივთისადმი!

შეეთვისე, ნიკო, მხოლოდ ისრეთს კაცსა და ქალს, რომლებთან დაახლოვება კი არ დაგცემს სულიერად, გონებაში კი არ გააბატონებს წყვილიად, ცრუ მოწმუნეობას და სასოწარკვეთილებას, ზნეობრივს ძალას კი არ მიიყვანს ჭიანჭველის ულონობამდის, სულს კი არ აამყრალებს ვნებათა ღელვის ნოტიოთი, არამედ ფრთებს უფრო მარჯვედ და მხნედ გაგაშლევინებს 'შენთა წმიდა ოცნებათა, ნატვრათა და მისწრაფებათა განსახორციელებლად...

17 დეკემბერი.

შეიტკბე და შეიყვარე, ნიკო, იდეალი!

შორს ცოცხალ-მკვდარ, სულიერად ლატაკ, მახინჯ და მიწიერ ქალთაგან!

შორს მყრალო წყალო მარადის ამღვრეულ და უწმინდურ ტბისავ!

შენი ლტოლვილება, მისწრაფება იყოს მიმარ-

თული უმანკო, ნორჩი, გრძნობიერი, წმიდა, ანგელოზივით ტურფა ქალწულისადმი!

შენი წყურკილი იყოს თავშეკეცვებლად მიპართული, რომ დაეწაფო საღმრთო წყაროს, ამოჩუხჩუხეს იდეალის მთაზედა!

თავი შესწირე შემოქმედებითს შრომას!

განერიდე პირადს ბედნიერებას!

სულერთია, სანამ **ჰიმნარითი ნიკო** არ გამეფდება შენს არსებაში, სანამ გარეგანს ნიკოს, ღვთისგანაც და კაცისაგანაც ათვალწუნებულოს, არ განაძევებს და არ დაიჭერს იმისს ადგილს **შინაბანი ნიკო**, უბიწო, მშვენიერი, ზე-შთაგონებული, ძლიერი ნიკო, — მანამდის უკუიქცევა შენგან ყოველთვის განხორციელებული მშვენიერება-სხივმომფინარე ქალწული.

როცა აღმალდები სულიერად, ცხოველღმერთს დაუვახლოვდები და იხილავ თვისს მშვენიერს სახეს, ნათელ-მომფინარეს, — შენი კეთილის მყოფელი გენია დიდის სიყვარულით მიგიყვანს შენ მიერ მრავალ წლებში ნანატრ საღმრთო წყაროსთან, სადაც სხივმომფინარე ჰაეროვანი ქალწული დაგაღვივნებს უკვდავების წყალს თვისის ხელით და შემდეგ შეგიერთდება საუკუნო კაფშირით!..

1904 წ.

2 იანვარი.

მთელი დღე გავატარე მეკობრულს სჯაბაასში ძკირფასს ძმა ალექსანდრესთან. ერთმანეთს განვეუზიარეთ ჩვენი წმიდა მისწრაფებანი, სურვილნი და

მიზანნი, რომელთა განხორციელებას უნდა შეესწი-
როთ თვისი თავი.

გამოჩნდა, რომ ორთავეს უმანკო, წმიდა გუ-
ლიდან ამოჩუხჩუხებს ერთი და იგივე ანკარა წყარო
უკეთილშობილესთა გრძნობათა, ორთავესი სული
და გონება ელტვის ერთსა და იმავე იდეალს; და
ორთავე აღსავსე ვართ რწმენით, რომ ურიცხვ თა-
ვებიან დევს ბოროტებისას მოვერევით, მიწაზე და-
ვანარცხებთ, სულს ამოვართმევთ სატანას გარყვნილე-
ბისას განვემირავთ ისე, რომ იგი კვლავ ვეღარ აღსდგეს,
კრუმორწმუნეობისა და სიბნელის სამეფოში შევიტანთ
სინათლეს, აღვანთობთ ცეცხლს, რომელმაც უნდა
დასწვას ბალახ-ბულახი და აღმოამშრალოს სინოტივე...
გაუმარჯოს ჩვენს მომავალს!

4 იანვარი

დღეს დავინახე ეკკლესიის სასაფლაოვოზე თვისს
დასთან, ექიმის ცოლთან, და პატარა დისწულთან
ერთად, ჩემი ძვირფასი მეგობარი და და აგნია.

თან და თან უფრო ვრწმუნდები, რომ აგნია
დაბადებულია მართლაც გმირისათვის და წინასწარ-
მეტყველისათვის.

აგნია დაბადებულია იმისთვის, რომ იმისს გარ-
შემო მოწიწებითს პატივისცემას, წრფელს, წმიდა
სიყვარულს და გაღმერთებას უკეთეს აღამიანთა მიერ
საზღვარი არა ჰქონდეს.

იგი აღსავსეა უძლიერესის სტიქიონურის მისწ-
რაფებით თავისუფლებისადმი: იმას სწყურია და-

ამსხვრიოს რკინის ბადე მონობისა, რომლის ქსელით დახლართულია იმისი და თანამედროვე ადამიანის ცხოვრების პირობები.

ღმერთო! შენ მიანიჭე აგნიას ძალა და ამსხვრიოს ბოროტება მრავალსახიანი, შენ შეაძლებიე ისე გაიმარჯვოს უმეცრებაზე ცრუმორწმუნეობაზე და ხალხის დამმონავებელ ბნელ ძალებზე, როგორც ორლენის ქალწულმა იოანნამ გაიმარჯვა აუარებელ ინგლისელთა ჯარზე!

5 იანვარი.

რაც ვიყავი, ისა ვარ! არ იქმნა და არ იქმნა ჩემი სულიერი წარმატება! ვერ მივანიჭე საღმრთო აზნაურება და თავისუფლება ჩემს არსებას! ვერ ველირსე კურთხევას ღვთისას! აღარ მფარველობს კეთილისძყოფელი გენია!

ღმერთო! მაქვს შენდამი სასოება, რა კი გამაჩინე შენგან გამოძვალის სიყვარულისა და შემოქმედებითა ძალათა მეოხებით, უნუგეშოდ აღარ დამტოვებ!

ღმერთო! მე გლახაკი ვარ, მაგრამ მწყურია უზომოდ, რომ ვიყო ძლიერი არსება; მე მონა ვარ, მაგრამ მწყურია უზომოდ, რომ ვიყო თავისუფალი; — ამისთვის გამხადე მე ძლიერი, თავისუფალი არსება!

7 იანვარი.

წუხელი რა ნეტარი ვიყავი და ბედნიერი ძილში, მთელი ღამის განმავლობაში ვიყავი სადღაც

უცხო ბაღში. მუნ მქონდა გამართული საწოლიც. ჩემთან, თვითონ ვერ გამეგო საიდან, გაჩნდა ტურფა, მშვენიერი, ანგელოზი-ბავშვი, რომელიც უღლი იყო ერთის ვითომ ჩემი ნაცნობის დიდათ სათნო და ყოვლიად მშვენიერ ქალისა. ბავშვი, სიყვარულით გამსჭვალული ჩემდამი, აღარ მშორდებოდა. ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ვატარებდი იმას გულში ჩახუტებულად და უზომოდ ვსიაჰოვნებდი. როცა ბავშვი და მე ვკისკისობდით, ვიცინოდით, ვმხიარულობდით,— ბაღში დავინახეთ მოსეირნე ძვირფასი, უმანკო, მშვენიერი აგნია. იმისს დანახვაზე აღდგომა გამითენდა და წმიდა ედემად გარდაქცა ჩემთვის ის საუცხოო ბაღი. მე ვუცქეროდი აგნიას და ვსტკბებოდი. შემდეგ კი გამომეღვიძა. დარწმუნებული ვარ, რომ აგნიაც წუხელ, სიზმარში, ისე ბედნიერი იყო ჩემის ნახვით, როგორც მე იმისი ცქერით....

10 იანვარი.

დღევანდელი დღე მეტის-მეტად ძუნწი იყო ჩემთვის. საქმე მქონდა არა აღამიანებთან, არამედ ბაყაყებთან და გველებთან. ის კი არაა საქწუხარო, რომ არ აღმისრულეს ჩემი უბრალო სათხოვარი, არამედ სატარალა იმათი გრილი, მძულვარე მოყვასისადმი გული, და უკანასკნელიდან აღმომხდარი უკეთურობით, უსიყვარულობით შეზავებული უგემური სიტყვები.

მარილს თუ არ მასესხებ, მარილიანი სიტყვა მაინც მითხარი, მოყვასო ჩემო!

ძუნწი იყო დღევანდელი დღე ჩემთვის ყოველ მხრივ. დღე ძუნწი გახდეს ხვალინდელიც, ზეგინდელიც! ჩემს იმედს ფრთებს ვერ შეაკვეცებს აწმყოის გაუმარჯვებლობა. მე მრწამს, რომ მომავალი ჩემია, მე მრწამს, რომ შევიძლებ მიხწევას სულიერ წარმატებისას. მე მრწამს, რომ შევმუსრავ, ფეხთაქვეშ გავუელავ, გავაცამტვერებ ბოროტს ძალას, მტერს უმანკოებისა, სიწმიდისა, მშვენიერებისა და ქეშმარიტებისას. მე მრწამს, რომ მომავალში უნდა მოხდეს შერიგება ჩემი ჩემს მოყვასთან. მე მრწამს, რომ შევიძლებ, ჩემს მეგობრებთან-ერთად, ავსწიო იგი, მოყვასი, მალა, დავუახლოვო დიდებულსა, მარადის ბედნიერსა, სიხარულის სხივების უხვად დარიგებაში მუდამ მოუწყინარს მზეს; მოვაშორო მტვერსა, ტალახს და ნოტიო ქაობს მოყვასი ჩემი, ვაჩვენო უკანასკნელს მთა, შემოსილი სურნელოვანის, მრავალშტოვან, მრავალფურცლოვან ხეებით, უცხოად და ტურფად გადაბურულით თეთრის თოვლით. ვაჩვენო მუნ მრავალგვარნი უცნაურად მფშვინავნი ვარდნი, უვნებელნი ყინულის-მიერ; ვაჩვენო მუნ ბროლივით ანკარა წყარონი, აღმომჩქეფარენი მთის მკერდიდან, თვალთა დასატკბობელად და გულის გასახარებლად; გავახარო მოყვასი ჩემი მთის წმიდა, სპეტაკი, მშვენიერი ჰაერით.

11 იანვარი.

სიხარულო, აღავსე ჩემი გული ბედნიერებით!
უცხო **მეშვენიერება** გაზაფხულისაჲ, სხვისათვის უხილავო და აღარ გამოჩენო თვისი მადლისა, ჩემ-

გან კი მარადის განუშორებელი! უხვად მუინე
შუქები შენი და გამხადე ნათელი, სხივცისკროვა-
ნი, აღმამურენი არსება!

მე მაქვს სასოება ღეთისა, რომ დავიბრუნებ
უმანკოებას და მივალწევ ცხოველმყოფელობას, სიწ-
მიდეს და სიბრძნეს.

მე მსურს ვიცხოვრო ამ ქვეყანაზედ, როგორც
მკვიდრი სასუფეველისა, აღსავესე მარადის განუქრო-
ბელის ბედნიერების გრძნობით.

1 თებერვალი.

ვაი უბედურობავ, ვაი სირცხვილო! სურვილი
სურვილად მრჩება სულ მუდამ და საქმით-კი, მოქმე-
დებით-კი არ მოიპოვება დედამიწაზედ ჩემებრ უნა-
ყოფო და ყოვლად ღარიბი ადამიანი.

ოდნავადაც ვერ დავახწიე თავი მონურს მდგო-
მარეობას. გზაზედა, რომელიც მიმყვანებელია აღთქ-
მულ მხარემდე, იდეალამდე, ერთი ნაბიჯიც კი ვერ
წარვსდგი წინ. სიზარმაცემ ხელფეხი შემიკრა, გო-
ნება დამიჩლუნვა და ერთს ადგილზე მიმაკერა.

2 თებერვალი.

რაში მდგომარეობს ჩემი ძალა, რით შემიძლია
მე გავიხარო და გავახარო ადამიანი? რით შემიძლია
მე ვინუგეშო და ვანუგეშო ადამიანი? რა არის ჩემ-
ში თვისი, საკუთარი? რა არის ჩემში ის, რითაც მე
სხვას არა ვგავარ, რაიცა მსგავსებით, ერთფეროვნე-
ბით გულგრილობას და ათვალწუნებას არ აღუძრავს
ჩემს მოყვასს?

ჩემი ძალა სიყვარულშია, სარწმუნოებაში და თავშეუკავებელ მისწრაფებაში იდეალისადმი. მე მიყვარს იდეალი და სახელითა ამ იდეალისათა მიყვარს ყოველი უმანკო-კარგი, უმანკო-კეთილი, რაც კაცის ბუნებაშია და რაც, ღვთისა და ადამიანის ხელის შეწყობის წყალობით, გაიშლება, განვითარდება საუცხოვო მშვეინავ ვარდად, შეიქმნება ტურფა, სახიერი. მე მრწამს, ადამიანი დაბადებულია იმისთვის, რომ გახდეს მშვენიერი და ბედნიერი დი ჩემი წმიდა სურვილი იმაში მდგომარეობს, რომ ხელი შეუწყუო ადამიანს— მიახწიოს სიმშვენიერეს, სიბრძნეს და სიწმიდეს.

რადგანაც მე მეცნიერი არა ვარ, ჩემის ცოდნით ერთობ მცირედი სიკეთის მინიჭება შემიძლია, მაგრამ მე შემიძლია მივანიჭო ადამიანს ის, რაიცა უძვირფასესია და უსთავრესი კოკორის გასაშლელად: ესე-იგი, ერთის მხრით, სხივი წმიდა სიყვარულისა, სითბოებითა და სიხარულით აღმავსებელი და შეორეს მხრით, მე შემიძლია, გულთმისანი ჩემი არსების შემწეობით, წინად-გრძნობა იმ დაფარულ მშვენიერებისა, რითაც დაჯილდოვებულია ჩემი მოყვასი და შემიძლია გულითადის მქვერმეტყველებით ვაჩვენო იმას, საგრძნობელი სიცხადითა და სიცხოვლით, ის საუნჯე, რითაც დაჯილდოვებულია, და **უბრძანო** იმას **სიხვარულით** თავდავიწყებული მისწრაფება გასაშლელ-გასავითარებლად იმ კოკორისა, რომელიც თვისი ნაყოფით და მშვენიერებით მომავალში მას გაახარებს და გააბედნიერებს...

I.

ჩემი ძვირფასი და და მეკობარო აგნია, მოსკოვიდან დროებით სხვაგან წასული, ჩამოვიდა წუხელ, უაგნიაოდ ვიყავი მკვდარი, მაგრამ აგნიას მობრძანების თანავე გამოვცოცხლდი, მკვდრეთით აღვსდები.

წუხელ საუცხოვო ღამე იყო, მთვარიანი და ნათელი, იმიტომ, რომ მობრძანდა აგნია.

წუხელ მეტის-მეტად მზიარული ვიყავი და უანგარიშოდ ბედნიერი იმიტომ, რომ ძვირფასი, სასურველი აგნია, ჩემი მფარველი ანგელოზი, ბრძანდებოდა ჩემთან ახლოს.

გამითენდა საუცხოვო, მზიანი დღე, დღე ნათელი, გაზაფხულისა, იმიტომ რომ აგნია ბრძანდება მოსკოვში, ჩემთან ახლოს.

II.

ნიკო! გაფიცებ ღმერთს, გაფაცებ შენს კეთილის მყოფელ გენიას, რომ, როგორც შეუძლებელია არ სუფევდენ დასახელებულნი ნეტარნი არსებანი, ისე შენთვის ნუ იქმნება შესაძლებელი, ნუ იქმნება მოსახერხებელი ცხოვრება დედამიწის ზურგზედ, სანამ არ გახდები წმიდანი, წინასწარმეტყველი, გმირი.

როგორც რომ დიდი ხანია, რაც შენ ერთხელ დასამუდამოდ დაამტკიცე, დაამყარე და გარდასწყვიტე, რომ წარმოუდგენელია და სრულიად უაზრო ცხოვრება და ყოფნა დედამიწაზედ უღვთაებოდ,

ისე დაამტკიცე, დაამყარე და გარდასწყვიტე ეხლავ, ამ საათშივე, ერთხელ და სამუდამოდ, რომ უაზრობაა, სისულელეა, პირუტყვობაა ადამიანისათვის ცხოვრება, სანამ იგი არ დაუახლოვდება თვისის სიწმიდით ანგელოზს და სანამ არ გახდება იგი გმირი და წინასწარმეტყველი.

20 თებერვალი.

ნიკო! ნუ დაკარგავ სასოებას მარადის კეთილისმყოფელ ღვთაებისადმი! შეურიგდი ადამიანს **დროებით** და დიდსულოვნობით აპატივე უკანასკნელს თავის დრომდის უკმეზობა, სიავე, ფლიდობა შენსა და შენი მოძმის წინაშე და ის დანაშაული, რომელიც მიუძღვის იმას შენთან და შენს მოძმესთან.

აპატივე მანამდის, სანამ მოიკრებდე, შეიძენდე ყოვლისშემძლებელ ზნეობრივსა და სულიერს ძალას, შემუშავებულ სიავისა და სიბოროტის ჯოჯოხეთისას და დაჰმყარებელს ადამიანთა შორის წრფელი, უმანკო, წმიდა კავშირისას და ადამიანთა მომწოდებელს ღირსეულ, ღვაწლით შემოსილ, ანგელოზურ ცხოვრებისათვის, მისახწვევლად გმირისა და წმიდანის სისრულისა, სიდიადის და მშვენიერებისა.

21 თებერვალი.

ნიკო! თავი დაიციე წმინდად, უმანკოდ, ოუ შენთვის არა, სხვისთვის მაინც.

შენს სიცოცხლეში ნუ იზამ იმას, რომ შენი სისუსტიით, ბოროტი ქცევა-მოქმედებით წაქეზდეს

მსუნაგი, ბოროტი ბუნება შენის მოყვასისა.

შენს სიცოცხლეში ნუ დაანახვებ წენს მოძმეს გამარჯვებას შენში ვნებათაღელვისას, დამონებას როსკიპი, უღირსი, უშინაარსო კეკელა ქალისადმი.

22 თებერვალი.

არ დაგავიწყდეს აღთქმა: განერიდე ქალს! განაძვევ შენგან ველური ცხოველი, საძაგელი მხეცი!... თავი შესწირე იდეალის ძებნას და მოკვდი ამ ძებნაში. სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი, სახელოვანი—თვისს თავის წინაშე.

23 თებერვალი.

დაკრძალე, დამარხე შენი გულის სიღრმეში შენი წმიდა სიყვარული, ნაზი ალერსი! დაჰფარე შენი არსების სიღრმეში შენი ცეცხლო-მფრქვეველი ვნება-სურვილი, გაშმაგებით მლტოლველი ქალისადმი!

მთელი შენი სიცოცხლე შესწირე შენი იდეალის განხორციელებას და გრწამდეს, რომ თუ დაუახლოვდი იდეალს,—პირადი ბედნიერება თვითვე მოგვევლინება ანგელოზის პირ-მშვენიერებით და ხატოვნებით!

24 თებერვალი.

კეთილის მყოფელი გენია მუდამ მფარველია ჩემი.

იშვიათ ნეტარ შემთხვევებში მე ვიმყოფები იმის მადლით გამანათლებელ-დამატკბობელ უჩი-

ლავ ფრთების ქვეშ, აღსავსე საღმრთო სიყვარულით
ყოველ ცხოველ არსებისადმი.

უმეტესს შემთხვევაში-კი, მე, საყვარელი შვილი
ზეცისა, მაგრამ ჩემი სიზარმაცისა, უმოქმედო და
უწმინდურ ცხოვრებისა გამო, ჩემის ანგელოზის
გულის აღმავსებელი მკაცრის საყვედური და უმწ-
ვერვალესის უკმაყოფილებით ჩემდამი, ვგრძნობ
მაინც, ცხადად ვგრძნობ სულ მუდამ, რომ იგი, ჩე-
მი კეთილი გენია, თვისი მადლის ნეტარს შუქს გა-
მომინათებს ხოლმე შორეულის ზეციდან და არ გა-
ახანგრძლივებს ჩემში სიბნელეს და ბოროტს გრძნო-
ბას, არამედ დასადგურებისთანავე განაქარკებს ჩემგან.

25 თებერვალი.

ნიკო! შესწყვიტე უწმინდურ მეზობლებთან
მიმოსვლა და შეიტკბე-შეიყვარე საუცხოვო მარტო-
ობა!

მხოლოდ ამ პირობით შეგიძლია გახდე ტურ-
ფა, მშვენიერი, წმიდა, ბრძენი, სახიერი და ძლიე-
რი არსება!

გაექეც იაფ-ფასიან სიხარულსა და სულელურ
დროს გატარებას!

გაექეც ქალს სახელითა იდეალისათა ისე,
როგორც გაექცევოდი ცოფიანს ნადირს, ფრთოსა-
ნის სისწრაფითა და სიჩქარით!

მხოლოდ ღმერთს მიუძღვენი შენი გული, შენი
სიყვარული და ერთგულება.

26 თებერვალი.

თუ კეთილისმყოფელი გენიის-მიერ კურთხეული იყო ის კავშირი სიყვარულისა, რომლით ცოლ-ქმარნი შეერთდენ განუწყვეტელად და საუკუნოდ; თუ წმიდა იყო და შეუგინებელი ის წალკოტი სანებივრო-სანეტარო, სადაც მოწვეულ იქმნენ პირველ-დაქორწინებულნი განსასვენებლად და გამოსახმობლად თვისი არსების სიღრმიდან ანგელოზ ბავშვისა; თუ პირველ დაქორწინების დღესვე, ნათელ სარეცელამდე მიუსვლელად, აღვლინებული ღვთისადმი მხურვალე ლოცვა შეყვარებულთა მიერ, შესახებ სულიერ, საღმრთო სიყვარულის დამკვიდრებისა იმათს არსებაში და პირუტყველ მიდრეკილების და ქვენა გრძობათა სრულიად განძევებისა იმათგან, იქმნა შესმენილი და იქმნა დამკვიდრებული მადლი სული-სა წმიდისა იმათს არსებაში წარმოსაშობლად უბიწო ბავშვისა, — ვაშა, ვაშა სპეტაკ მყულღეთა! უმანკო სიზარული, საღმრთო შვება, კურთხევა ღვთისა და უკვდავი ბედნიერება თანამავალნი, იქმნებიან იმათთან და იმათ მემკვიდრეებთან სამუდამოდ და დაუღვევნელად.

1 აპრილი.

ღვთაებრივად აღმამაღლებელია ქალისა მშვენიერი, ჰაეროვანი, იდეალური არსება. თუ გსურს, ჩემო ძმავე, ვინც უნდა იყო შენ, ქალი გახდეს იანე მშვენიერი და სხივცისკროვანი, როგორც ანგელოზი, — დაუახლოვდი თვითონ შენ ღვთაებრივს სისრულეს.

დღეს, საღამოს 7 საათზედ, როცა სახალხო სახლში*) ჩაის ვსვამდი, ამ დროს იქ აღმოჩნდა სარევიზიოდ მოსული ერთი მეტის-მეტად ლამაზი, ტურფად ჩაცმული, უფროსი ოფიცერი.

მე ვისხედი კასის პირდაპირ, ახალგაზრდა კასირ-შასთან ახლოს, რომელსაც, შემოვიდა თუ არა ჩვენს ზალაში ლამაზი ობეროფიცერი, სახე ისე გაუბრწყინდა და აღევსო უმანკო მშვენიერებით, რომ ჩემზე მოახდინა არა ჩვეულებრივი, მეტად სასიამოვნო შთაღბეჭდილება.

ოფიცერი გაჩერდა შუა ზალაში და საკმარის ხანს ესაუბრებოდა ამ სახლის ერთს უფროს მეთვალყურეთაგანს.

ქალიშვილმა—კასირშამ ცბიერის ღიმილით შემომანათა თვისი მშვენიერი სახე და თვისი უზომო აღტაცებით და სიხარულით სავსე თვალებით თითქოს ძღვევა-მოსილად შემომეკითხა ასე: „ახლაც ვერ გავიპარჯვე შენზე? ნუ თუ ახლა მაინც არა ვარ იმდენად ტურფა და ეშხიანი, რომ დაგიმონო და გაგხადო ჩემი მსასოებელიო?!..“

ის ტურფა ოფიცერი, მოულოდნელად მოვლინებული იმ სახლში, — **იღვალბა**; უბრალო ქალიშვილი-კი, ლამაზ, თანამგრძნობ ოფიცრის მოვლინებაზე სრულიად გარდაქმნილია, გაანგელოზებული, ცხადად მაჩვენებელია იმ ჭეშმარიტების, რომ შენ თუ მიახწიე სულიერ წარმატების მაღალ საფე-

*) სასტუმროში.

ხურს და დაუახლოვდი იდეალს, მაშინ შენი მოყვასის შენამდის აღწევა და შენებრ იმისი გაბედნიერება შენთვის ადვილია. ამისთვის თითქმის საკმარისია, **მოქმედი** ხშირად შენს მოყვასს, აგრძობინო და აჩვენო იმას შენი სილიადე და ღვთაებრივი მშვენიერება.—

2 აპრილი.

ღმერთო! შენ შემოგწირავ ჩემს უმხურვალესს ვედრებას: მომფრენე შუქი შენის სიწმიდის, სიბრძნის, სიყვარულის და სიტკბოებისა!

შენ განათლე და გააბრწყინვე სულიერის ნეტარებით ჩემი გული და გონება!

შენ განაძევე შენის უხილავის მადლით მანკიერება და მწიკვლი, უწმინდურის მოძმის-მიერ ჩემდაბი მოძღვნილი მედიდურებით!

მე მეყოფა საკუთარის ბუნების უძლურება, უწმინდურება საბრძოლველად.

ვაი-მე! ცოტათი, მცირედათ მაინც დაიმედებული იმით, რომ ეს ეს არის რამოდენადმე მაინც განვამზადე ჩემი არსება დასამკვიდრებლად უმანკოების და მწმიდობის ანგელოზისა, — მოდის ჩემთან მოყვასი ჩემი, აღსავსე საძაგელის გულის თქმითა, ბნელისა და ნოტიო მოკიდებულის გონებით და, მომფენს რა შავს ზურუსს თვისი სიავისა, სიღუბქირისა, სიმახინჯისა და ჩერჩეტობისას, ისევ განმსჭვალავს მე იგი ზიზლითა და მძულვარებით თავისა თვისისადმი.

ჩემო ღმერთო! თუ შესაძლებელ არს ჰომაშორე

სრულიად ყოველს საზიზღარს არსებას, რომელიც მოკლებულია სიწრფელეს, უბრალოებას, სიწმიდეს, სიბრძნეს და რომელთან კავშირი მომძღვნელია ერთად ერთის მწუხარებისა და უბედურებისა!—

5 აპრილი.

რა ძნელია, არა ფალოსოფოს-იდეალასტიკისათვის, არამედ უბრალო, წმიდა ზნეობიანი, გრძობიერი და გონიერი ადამიანისათვის იპოვოს ღირსეული კაცი, რომელთანაც შესძლოს დაჰყოს მარტოდ-მარტო ერთი საათი ისე, რომ არა იგრძნოს იმისადმი ზიზღი და არ აღივსოს იმისადმი მძულვარებით!

რა სანატრელია ნახვა ისრეთის კაცისა; რომელმაც თითოეულისთვის სიტყვით, აღმომავალით უწმინდურის გულიდან დასიამაყით-სიზნელით გამსჭვალულ გონებიდან, არ შეურაცკყოს შენი სათუთად ნაზარდი და ტანჯვით შენახული წმიდა გრძობა და ანგელოზივით ნათელი და სპეტაკი კეთილშობილი აზრი, რომლებითაც გამსჭვალულია შენი უმანკო გული და შენი ნუგეშინისმცემელი გონება!..

7 აპრილი.

როცა შენ დარწმუნდი, რომ გამსჭვალული ხარ უზომო სიყვარულით უმანკო ქალისადმი, მთელი შენი ძალ-ღონე შესწირე იმას, რომ სულმან შეითვისოს სული, რომ განიმსჭვალო იმისადმი წრფელის, მეგობრულის გრძობით, დაუახლოვდე იმას სულიერის, ძმურის კავშირით.

თუ ვინცოა გაიღვიძა და თავი ამოჰყო შენ-
ში პირუტყვმა,—მოშორდი, გაექეც საგანს შენი
სიყვარულისას! ცრემლებით, ლოცვით და ტანჯ-
ვით განაძევე შენის არსებიდან პირუტყვი და გაამეფე
ისევ სულიერი ადაზიანი!

უნდა მიახწიო ისრეთს სიწმიდეს, რომ, როცა
ჰტიქრობ შენს სატრფოზე, ან თვალის თვალ შეჭბა-
რი იმას, შენთან მუდამ უნდა იმყოფებოდეს ნათე-
ლი ანგელოზი.

ერთს წუთსაც თუ იგრძენი, რომ ანგელოზმა
დაგტოვა და პირუტყვი ჰლამის თავის ამოყოფას,
ეს ნიშნავს, რომ შენ ისევ უწმინდური ხარ და
ღვთისაგან არ არის კურთხეული შენი სიყვარული.—

25 აპრილი.

შორს ელიკო და ლიზიკონი!

შორს ნავის, მღელვარე ზღვაზე მფრინავისა.
დაყუდება მწვიდობიან ნაპირზედ სამუდამო განსას-
ვენებლად, მოსამკელად სულის წარწყმედისა და
სამარცხვინო სიკვდილისა!

ნიკო! ეცადე **ღღმანღელ ღღეს** არ შერცხვე
ღვთისა, შენი ნათელ გონებისა და სვინიდიისის
წინაშე,—ხვალ რაც მოხდება, იმაში ხვალინდელმა
ღღემ აგოს პასუხი!

28 აპრილი.

ნიკო, დაკმაყოფილდი სულიერის სიყვარულით!
გაჩნდა თუ არა შენში გულისთქმა და ხორციელი
მიდრეკილება ქალისადმი, განსდევნე უწმინდურნი

ვნებააადელვანი, უბანკო გულის ანკარა წყაროს
ამამღვრეველნი ტალახითა და მწიკვლით!

დღევანდელ დღეს ნუ წაგერთმევა მხნეობა
იმიტომ, რომ სულ ერთია დღეს არა ხვალ ან მო-
მავალში დავმარცხდებიო!

ეცადე, **დღეს** გაიმარჯვო და ხვალ რაც მოხ-
დება—ღმერთს მიანდევ.

1 მაისი.

ოჰ, რა უბედურებაა ადამიანისათვის, როცა ბე-
დი არგუნებს იმას ყოფნა-ცხოვრებას ისრეთ არსე-
ბასთან, რომელსაც სრულიად გამოლევია ნიშან-
წყალი სიცოცხლისა, აღარ მიისწრაფვის უკეთესი-
სადმი, არა სწყურია ღვაწლი-მოქმედება თვისი და
მოყვასთა სულიერი მდგომარეობის განსაუკეთესებ-
ლად და ასამაღლებლად!

ადამიანი, ვინც უნდა იყო, რომელიც კმაყო-
ფილი ხარ თვისი თავით, არ ელტვი თვისი ბუნე-
ბის სულიერ მხარეების გაშლა-განვითარებას უმაღ-
ლეს ხარისხამდე, გულის არ გიკლოავს, გაწებას არ გიშ-
ხამავს გარსშემორტყმული სიბნელე და უბედურება
და არ გებადება ძლევა მოსილი სურვილი განფან-
ტო წყვდიადი და მწუხარება, და გაამეფო სინათლე
და სიხარული; ადამიანი, რომელსაც არა გწყურია
და არა გშია მწყურვალ მშიერ მოყვასის განსძლომა
სულიერის საზრდოით;—რომელსაც არა გწყურია,
რომ შეიტანო შენი სიყვარული, მოქმედება და

ღვაწლი იმ საქმეში, რომ მოყვასი შენი გახდეს განათლებული, კეთილშობილი, ბრძენი და თავისუფალი,—ასრეთი ადამიანი აღარ ირიცხები ცოცხალთა შორის, ცოცხალთა საღმრთო წიგნიდან აღმოხოცილია სრულიად შენი სახელი!

2 მაისი.

ოხ, სიმარტოვევ!

სცხოვრობდე ამ პლანეტაზე, ურიცხვ ადამიანთა შორის, და ჰგრძნობდე, რომ გამბდარხარ ძალა უნებურად მიუკარებელი და უცხო ყველასათვის: რომ შენი არავის არა ესმის რა და სხვების გრძნობა — აზრიც მოკლებულია **შენთვის** ჰარმონიას, შინაარს და სიმშვენეირეს,—ამაზე უსაშინელესი რაღა უნდა იქმნეს!...

ოჰ, სიმარტოვევ!

შენთვის დახშულია, ნიკო, კარი ცხოველი მშვენიერის ადამიანისა გულისა, მაშინ კი როცა სულ უბრალო მომაკვდავი სასურველი სტუმარია შენი სულის-მიერ, მოწონებულ მოყვასის გულში!..

ოჰ, სიმარტოვევ!...

24 მაისი.

გენიავ მარტოობისაჲ! რა მიყავი, რად განმარიდე ადამიანთა კრებულს, რად განმიტაცე შენს საუცხოვო, მყუდრო, სპეტაკ, მაგრილობელ სავანეში, შენს წმიდა სამლოცველოში, სადაცა შენის სიმშვენეირის მზერამა, შენი ფრთების ქვეშ ნეტარებით განსვენებამ და ჩემი სასოება—იღვალის სიყვარულით

დეტკობამ ვაჰჰე! მომკლეს ამ ქვეყნისათვის და დამკარგეს ხორცშესხმულ ადამიანთათვის!

გენიავ მარტოობისავ! როცა მოვშორდები შენს სავანეს და თავს ამოვყოფ კაცთა შორის, შხამით აღივსების ჩემი სული და გული, და ეკალი უკმარობისა სჩხვლეტს ჩემს გონებას იმისს გამო, რომ ცხოველი, გრძნობიერი, მშვენიერი, წმიდა, ბრძენი და ჰარმონიულის არსების მაგიერ წავაწყდები ხოლმე ყოველგან უსულგულოს, მახინჯს, ჩერჩეტს და უწმინდურს ადამიანს!

25 მაისი.

შენ გეთაყვანე, **გენიავ მარტოობისავ!** შენა ხარ სულისა და გულის მშვიდობითა, მყუდროებით, ნაზი ჰარმონიით აღმავსებელი გონების გამახვილებისკაროვნებელი მაღალის სიბრძნით, ღვთაებრივის ნუგეშინის ცემით!

სადაც გროვაა ბრბოთა, კრებულთა ათასეულადამიანთა, იქ მშვენიერი, მართალი და წრფელი სული შეხუთულია, დაღონებულია და მწუხარე იმისს გამო, რომ უგნურებას, ამაოებას, ფუქსავატობას, პირუტყვულ ვნებათაღელვას, უგემურ თავმომწონეობას, ყოველ სულელურს და ცხოველურს თვისებასა და ბუნებას აქ მოუყრია თავი, ამკრებულთა შორის.

შენს სავანეში-კი, გენიავ მარტოობისავ, აღივსების ადამიანი სიწრფელით, უბრალოებით; გრძნობიერება იმას უცხოველდება, უსპეტაკდება; აღივსების ადამიანისიწმიდით და ნეტარის მისწრაფებით ღვთი-

საკენ, აღივსების იგი მ-დლით—ამოიკითხოს, თუ
სად, არის სიწრფელე, მშვენიერება, ჭეშმარიტება!..

27 მაისი.

შენ შემოგვედრები, **ყოვლად-ნათელო ან-
გელოზო!** მომფინე მე საღმრთო მადლი შენის
სიყვარულისა!

შენ გამოაღვიძე ჩემში პირვანდელი უმანკო
ბავშვი და დამიბრუნე მაშინდელი უზომო, წმიდა
წყურვილი ანკარა, წმიდა სუყვარულის, აღმომჩქე-
ფარის სპეტაკი ადამიანის გულიდან!

შენ გაანეტარე ციურის სინათლით ჩემი არსე-
ბა! მინაწილე მე ჰაეროვნება და სიწმინდე შენი!
დიდსულოვნობით ხელი შემიწყვე, რომ ჩემმა მისწ-
რაფება-ღვაწლმან ნაყოფი გამოიღოს და მომენიჭოს
მე ღვთაებრივი ხატება და სახიერება!

დიდსულოვნობით ხელი შემიწყვე, რომ გამო-
ვიყვანო საპყრობილიდან გამოურკვეველობისა, უპი-
როვნობისა და მონობისა ჩემი „მე“, ჩემი ჭეშმარი-
ტი ნიკო!

განხორციელებულო სიტკბოებავ და სიყვარუ-
ლო! მიშუამდგომლე ყოვლისშემძლებელ ღმერთთან
--გამახაროს ყოვლად გახარებულმან: განაძლიეროს,
გამეფოს ჩემში შინაგანი თვითშპყრობელი არსება,
გამამდიდროს სულიერად ისე, რომ, მარადის ნეტა-
რების გრძნობით აღსავსეს, არ მესაჭიროებოდეს
ღვთისა და თვისს გარეშე ძებნა ბედნიერებისა;—და-
მალევიოს, ყოვლად-უხვმან, მხოლოდ ერთხელ ან-

კარა, კაშკაში და წმიდა წყალი სიონის მთის უკვდავების წყაროისა და რამოდენიმე წუთს მაინც ვიგრძნო ცხოვლად. და ძლიერად, რომ მე ვარ უკვდავი, ნეტარი, სულიერი არსება.

წამიერი ნეტარება და უკვდავება-კი ისე აღმადგენს და იმდენს ძლიერებას მომანიჭებს, რომ კვლავ ჩემი დაცემა შეუძლებელი იქმნება, და შემდეგ, მრწამს კიდევაც, განვიხორციელებ ჩემს სურვილს, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ შევიყვარო-შევიტკობო ღმერთი, შევიყვარო მოყვასი და ხელი შეუწყო უკანასკნელს—გახდეს იგი უმანკო, წმიდა კეთილშობილი, თავისუფალი და ბრძენი!.—

29 მაისი.

აღსდგინ, ნიკო! დასთრგუნე სიკვდილი, ამაღლდი შენს სხეულზე, აძაღლდი ადამიანთა კრებულზე, სულმდაბლობით, შურით, სიბნელით, მხეცურის სიძულვილით და პირუტყველ სიყვარულით გამსჭვალულ-აყროლებულზე!

აღსდგინ, ნიკო! დასთრგუნე სიკვდილი! გაამეფე შენს არსებაში უკვდავი, მშვენიერი, ღვთაებრივი ადამიანი და ანდერძად დაუგდე ჭეშმარიტ ადამიანობის და ღვთაებრივ ცხოვრების მაძიებელს შენს მოძმეს, რომ იგი მიაღწევს აღთქმულს მხარეს და ნანატრს სახიერებას, და ნეტარებას იმ პირობით, თუ იგი უკან არ დაიხვეს და დაითმენს დროებითს მიცვალებასა და სიკვდილს საუკუნო უკვდავეზისათვის.

ჩემის არსების შინაგანო ნიკო! სახელითა ღვთისათა გაიმარჯვე სხეულზე, დაიპყარი ხელმწიფობა და იმეფე მთელს ჩემს არსებაზედ! განაძევე შენგან გრძნობა თავის დაზოგვისა და შენახვისა! დეე შეიქმნეს ხან-მოკლე მეფობა შენი, დეე მოგიღოს ბოლო სიკვდილმან!—სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი, სახელოვანი თვისი თავის წინაშე.—

1 იენისი.

ღმერთო! შენ მომმადლე სულიერი თავის ღფლება!

ყოველი მდაბალი სურვილ-მისწრაფება, და უწმინდური გრძნობა, შემწიკვლელნი და ფრთების შემკვეცილი შემქრელნი შენდამი მიზიდულ უკვდავ სულისა, განაძევე, მოსპე ჩემის არსებიდან.

ყოველი წყვდიად-ბნელი, რომელიც შავბედით ზეწრად გარდაეფარება ხოლმე ჩემი სულის საკურთხევლს, არ უშვებს შინაგან ჩემსა ცხოველყოფელ სხივებს ნათელი მზისას, აჩენს ჩემს არსებაში საძაგელ გულისთქმათა და ქვეშეთ-ქვეშეთის საზიზლარ გველ-ხელიკებთა,—განთანტე განდევნე ჩემგან!

ღმერთო! ყოველი წყვდიად-ბნელი, რომელიც უზარ მაზარ კედლად აღემართების ჩემსა და ჩემი მოყვასის შორის, უშლის ჩემს მოყვასს მოისმინოს ჩემი სულის საკურთხეველში ღვთის მსახურება და ჰარმონიული ქებათა-ქება გამჩენისა, და იგრძნოს-იხილოს შუქმფინარე ნათელი, შენ-მიერ მიმოდღვნილი და გამომავალი ჩემის არსებიდან,—ასეთი წყვდი-

ად-ბნელი აღგაკე ჩემს გარშემო და გაანადგურე!

12 აგვისტო.

მხოლოდ გუშინ გავიგე, მე, რომ აგნია გაყო-
ლია ცოლად მილლიონერ სოლოვიოვს...

სრულიად დამეკარგა ყოველი სასოება და სარ-
წმუნოება ქალისადმი...

გუშინდელი და დღევანდელი დღეები ცხარე
კრემლების ღვარში განვატარე. ჩემი და დამანუგეშე-
ბელი ქვეყანაზედ არავინ არ შეგულება. მე მგონია,
რომ აგნიას ჩემს სიცოცხლეში ვერ დავივიწყებ.

13 აგვისტო

დღესაც ცხარე კრემლები ვღვარე აგნიას შე-
სახებ... ტყუილია იმედი საუკეთესო მომავალზე...
აგნია დავკარგე მე საუკუნოდ. ჩემი ერთად-ერთი
ნუგეში ამ დედამიწის ზურგზე, ჩემი მფარველი ანგე-
ლოზი, ჩემი სასოება აგნია დავკარგე საუკუნოდ...

14 აგვისტო.

წუხელ, დაწოლამდე ნახეკარი საათის წინ, სა-
შინელი გრძნობა უზომო სიხარულისა ცეცხლივით
მოედვა ძთელს ჩემს არსებას.

არ ქვცენიურმა ძალამ, შეიძლება ჩემმა კეთი-
ლისმყოფელმა გენიამ, ჩამაგონა საგულისხმიეროდ,
რომ ძვირფასი, სასურველი აგნია მომავალში ჩემია
და მე-კი იმისი: მომავალში მე და აგნია შევხდებით
ერთმანეთს იმისთვის, რომ საუკუნოდ შევევრთდეთ

წმიდის, განუწყვეტელის მეგობრობითა და სიყვარულით.

თუ ვინიცობაა აგნია სიმდიდრემ და ფუფუნებაში მოკლა სულიერად, მე უნდა აღვადგინო იგი მკვდრეთით... ჯილდოდ უნდა მივიღო იმისი საუკუნო მეგობრობა.

ღიას, ჩემმა კეთილისმყოფელმა გენიამ ჩემს მწუხარე სულს განუცხადა შემდეგი:

— „ნიკო, რატომ ხარ უმართლო! აკი შენ თვითონ ცხარე ცრემლებით შესთხოვდი ყოვლად სახიერს, რომ თუ ჩემი მეგობრობა **ახლა** აგნიას კი არ აცხოვნებს, არამედ წარსწყმედს, კი არ მინიჭებს სასუფეველურ ბედნიერებას, არამედ დასჩაგრავს სულიერად და გააუბედურებს, — მაშინ ღვიერთო, განგვაშორე მე და აგნია და შეგვაერთე მხოლოდ იმ დროს, როცა მე ეს-ეს არის შევიძლებ დავამკვიდრებო აგნიას ღვთიერი სასუფეველი: თუ ვინიცობაა მარადის დავრჩები სულით გლახაკი, საძაგელი და მონა, მაშინ, ყოვლად-სახიერო, დამკარგე მე აგნიასათვის **სრულიად!**“

— „აი რას შესთხოვდი შენ ყოვლადქლიერს!“
მიბრძანა ნათელმა ანგელოზმა.

— „მომავალი შენია!“ — დამანუგეშა ჩემმა კეთილისმყოფელმა გენიამ.

1 ოქტომბერი.

ნიკო! თავისს სიცოცხლეში ნუ დააჯილდოვებ ქალს შენის სიყვარულით!

შესწირე მთელი შენი ძალ-ღონე ნაყოფიერს

შრომას და შრომაში მოკვდი! უარჰყავ ბედნიერება!
უარჰყავ ქვეყნის ყოველგვარი სიამოვნება! უარჰყავ
მეგობრობა!

მიახწიე ისეთს სულიერ წარმატებას მაინც, რომ
მეგობრად გეყოს თვისი თავი და სიყვარული-კი
დაუსაკუთრე მხოლოდ ღმერთა და ჰომავალს.

† ოკტომბერი.

ნიკო! ერთხელ და სამუდამოდ შეურიგდი იმ
აზრს, რომ შენი მოყვასი ღარჩება მარადის უცოდინარი,
უცხო და გაუგებარი იმ სიყვარულისა და ძვირფასი განძისა,
შინაგან შენსა დამკვიდრებულის, რომელიც შეადგენს ერთად-ერთს შენს ნუგეშს,
შენს დიდებას და ხიმღიდრეს.

შენი წყურვილი სიწმიდისა, სიბრძნისა, მისწრაფება
ღვთის სასუფეველის დამკვიდრებისა ადამიანის გულსა და
გონებაში, შენი სიყვარული ყოველად სახიერ ღვთისა,
შენი უზომო ტანჯვა და გულის მომკვლელი სევდა ადამიანის
სულიერი სიკვდილისა და იმის დაშორებისა გამო განუზომელ
სივრცეზე იმ გზას, რომელიც მიმყვანებელია სასურველ იდეა-
ლამდე — ყოველი ეს შენის მოყვასისათვის არის და
ღარჩება უგრძობელი, გაუცნობელი, მიუწდომელი.

ამისთვის იცოდე, რომ ის თანაგრძნობა, რომლითაც
შენი მოძმე დაგაჯილდოვებს, ეკუთვნოდეს იქნება არა
შენს წმიდა მისწრაფებებს, არამედ ანუ იმას, რომ ყოველად
უსასყიდლოდ რამე უმნიშვნელო სამსახური გაუწიე
შენს მოძმეს; ან აგრძნობინე

უკანასკნელს, რომ ცხვარივით მშვიდობიანი ხარ და ვნების მოტანის უნარს მოკლებული ხარ და სხვა და სხვა...

შენნი უკვდავი მისწრაფებანი და აზრნი დარჩებიან შენის მოძმისათვის ცხრა კლიტულში დამწყვდეულნი, სადაცა თავისს სიცოცხლეში ვერ ჩაწვდება იმისი გრძნობა-გონება.

გაუმარჯოს გულის სიმყრალე-სიბრმავეს და გონების სიბნელე-სიჩერჩეტეს!..

7 ოქტომბერი.

სინანული იმის გამო, რომ შევიწყვამ ბიწიერი, უზნური ქალი და განვიძრახე განმეგლო იმასთან მსოფლიოის მღელვარე ზღვა, მისაწვდენელად აღთქმული მხარისა.

I.

ყოვლად-ძლიერო ღმერთო! შევესკოდე შენს წინაშე ცოდვა დიდი და საშინელი: შევიყვარე მე სულიერად დავარდნილი, უწმიდური ქალი და იმას ვცემდი მე თაყვანს, იმას ვევედრებოდი და იმაზე ვლოცულობდი.

ყოვლად-ძლიერო! გმადლობ, რომ არ დაიშურე ჩემთვის შენი მზრუნველობა და განმაშორე ფუქსავატი, უშინაარსო, ბოროტ-შობილი ქალი!

ყოვლად-ძლიერო! შენ უწყი, რომ რწმენამ ქალისადმი, შენდამი მისწრაფებამ და წმიდა იმედმა, რომ ეს ქალი და მე ვართ გაჩენილნი ერთმანეთი-

სათვის და იმისთვის, რომ მივანიჭოთ ბედნიერება მოყვასთა ჩვენთა და გადილოთ შენ წმიდის ქებათა-ქებით და სიყვარულით,—ასეთმა რწმენამ ჯა იმედმა განმსჭვალეს მე თაყვანისცემითი გრძნობით მომაკვდავი, მიწიერი ქალისადმი. ამისთვის სასოებით მრწამს, რომ საზიზღარს დაცემას, ჩემის სიბრძნვისა გამო მომხდარს მაპატარევს, და ჩემს წმიდა სურვილგანზრახვას-კი ზე-აღწვევისას საძაგელ ღრჰა ორჰოდან მანიჭებ ძალას, შემადღებებ აღვსდგე და კვალად აღარ დავეცე.

II.

ყოველად-ძლიერო! შენ აჰხადე შენი კურთხევა შენი მადლი აგნიას: უმანკო სიხარული, წმიდა აღტაცება, სასუფეველური თვითკმაყოფილება და ბედნიერება, ყოველი საღმრთო გრძნობა, ციურის ღებნა-შეგებით აღმავსებელი აგნიასი სულისა და გულის, განაძევე, განაქარვე იმის არსებიდან!

ყოველად-ძლიერო! აგნიამ უარჰყო ზეცა და ციურნი საუნჯენი. აღირჩია იმან ის, რაც მიაჩნდა საუმჯობესოდ: სიმდიდრე, ფუფუნება, ხორციელი განცხრომა და ერთად-ერთი ქვეყნიური კეთილდღეობა. იმან უარჰყო უმანკო სიყვარული და ფრთები ანგელოზისა. თვისი კეთილ ნებაყოფლობით დაითხოვა ანგელოზი, პირუტყვი გააჰფუა თვისს არსებაში და საზიზღარს პირუტყვსვე მიანდო, მისაკუთრა, მიყიდა აგნიამ თვისი თავი.

აგნია ნათლად გრძნობდა, რომ ჰყიდის სამოთ-

ხეს მყრალ ქაობის ვაშლებ-ყურძნებზე და პირუტყვისაგან მიიღებს ერთად-ერთს ცხოველურ განცხრომას, სხვა არაფერს! მაგრამ აგნიამ პირუტყვეული სიტყობობა და დროს გატარება ანაცვალა სასუფეველურ აღმაფრენას და სიყვარულს ანგელოზებრივს.

ამისთვის, ყოვლად-ძლიერო, სამუდამოთ წაართვი იმას ის, რაც იმან დაიწუნა!

ყოვლად-ძლიერო! რად უნდა აგნიას შენი მადლი, შენი კურთხევა და შენი სიყვარული! ერთსაც, მეორესაც და მესამესაც უნარნარესის წადიერებით და მხურვალებით მიუძღვნის აგნიას იმისი გულკეთილი და ლამაზი ქმარი, მქონებელი უთვალავ სიმდიდრისა.

ყოვლად-ძლიერო! ყოვლად-წმიდაო, ყოვლად-უკვდავო, ყოვლად-სახიერო! ძლიერების, სიწმიდის, უკვდავების და სახიერების მომნიჭებელო! ძლიერება, სიწმიდე, უკვდავება და სახიერება უარჰყო აგნიამ და აღირჩია: უძღურება, უწმინდურება, სულიერი სიკვდილი და სიმახინჯე, — ამისთვის დეე დარჩეს აგნია მარადი მსასოებელი აღრჩეულ მიწიერ საღუნჯეთა! —

10 ოკტომბერი.

ნუ თუ შეუძლებელია თვისის **ნების** ძალით ადამიანმა განდევნოს, განაძევოს თვისის არსებიდან ავგუნებანობა, მწუხარება და სევდა, და ამათ ნაცვლად გული აიძვეროს ტკბილის სიხარულით, სული და გონება აღიფრთოვანოს იმედით და მაღალის ნუგეშინისცემით.

აზრი ერისა ჰღალადებს, რომ სიხარული, მსგავსად ბედნიერებისა, როცა გწადია იგი ხელის წაპოტინებით ჰნატრობ იმას, შენგან შორს გარბისო და როცა იმაზე არა ფიქრობ სრულიად და არც მოვლი, გესტუმრება ხოლმე და გაგაჭარებსო.

მე-კი წინააღმდეგ ასეთის აზრისა და სიხარულის სჯულისა და ხასიათისა, მსურს **გავმხიარულდე** და იმედით აღვიფრთოვანო ჩემი არსება. ჯერ წაუძძდვარიო სიხარულს ცოტა, მაგრამ ნაყოფიერი **შრომა**. და მერე კი, გულო, გაბრწყინდი იმედით, სულო აღფრთოვანდი, და ნეტარო მზევე **გაზაფხულისავე** ბედნიერების გრძნობით გაანათლე და გაათბე ჩემი არსება!..

12 ოქტომბერი.

ნიკო! ენდევი, ხოლმე, შენს წინაღობას და რაკი გულმა გიჩურჩულა უვარგისობა ქალის გინდ კაცის და გონებამ წამისუმაღვე მიაკუთვნა ბრბოს ესა თუ ის ადამიანი,—იცოდე, რომ მართალია, ჭეშმარიტია ის, რაც გულმა და გონებამ გამცნო შენ!

ამისთვის განეშორე, ნუ დაიჭერ წრფელს, ამხანაგურს, მხურვალე გრძნობით გამთხარს კავშირს ადამიანთან, რომელიც ლანდია კაცისა, თუმც კი ატარებს იმისს სახეს გარეგნობით და რომელიც შემარცხვენელია ყოველთვის და ყოველგან თვისი და სხვისი კაცურ ღირსებისა და შემავინებელ უპანკოების, სიწმიდის და ყოველი ღვთაებრივი გრძნობის; —რომელიც არც ზეცას ეკუთვნის და არც ჯოჯო-

ხეთს, რადგანაც პირველისთვის ერთობ უპიროვნოა, უშინაარსო და უწინიღური და მეორესათვის-კი მეტის-მეტად სულით გლახაკი, საწყალობელი, ბედ-მრუდე, არც ღვინო არც წყალი, არც კეთილი არც ბოროტი....

13 ოქტომბერს.

თუ გსურს სპეტაკი სიხარული და სულიერი ბედნიერება თანამავალი იყოს შენთან სამარადისოდ, დაიცევ თვისი თავი უმანკოდ და ნუ იქონიებ ამხანაგურს კავშირს, გულითადაც, წრფელ, ნაზ დამოკიდებულებას ისეთ ქალთან გინდ კაცთან, რომელიც, როგორც ჰგონობს შენი გული და როგორც ჰსჭკრეტს შენი წინასწარმხედველი გონება, მოკლებულია ღვთის მაღლსა და კურთხევას!

14 ოქტომბერი.

მიზეზი ჩემის ტანჯვა-წამებისა — ჩემი წარსულია, საძაგელი, საზიზღარი, ბოროტი წარსული. მიზეზი ჩემის ტანჯვა-წამებისა და უბედურობისა იმაწი მდგომარეობს, რომ არ მოიპოვება დედამიწაზედ არც ერთი სულიერი არსება, რომლისათვისაც მიმენიჭებოდა მცირეოდენი სპეტაკი სიხარული, უმანკო ბედნიერება, სულიერი ღვინა-შვება.

ვერ დავასახელებ ქვეყანაზედ ვერც ერთ ავადმყოფს, ვერც ერთს მკაცრი სვე-ბედით დატანჯულს, ვერც ერთს განმარტოვებულს, გაუბედურებულს სულს, რომელსაც მოვევლენოდი მფარველ ანგელოზად, რომელიც გამეხარებია უმაღლესის ნუგეშინის-

ცემით და რომლისათვის მეთქვა **სარწმუნოებით:**
„აღსდგინ მკვდრებით!“ მაგრამ მრავალია და ათასეული რიცხვი ასეთ პირთა, რომლებაც მე გავაუბედურე და გავალარიბე ზნეობრივად და სულიერად. მაშინაც-კი, როცა წრფელის სურველით ვიყავი განმსკვალული ხელი შემეწყობ ჩემის მოყვასისათვის, რომ იგი განზდარიყო მშვენიერი, უკვდავ, მალალი არაება, — სიკეთის მაგივრად ერთად-ერთი საშინელი ვნება მომიტანია: ჩემს მეგობრობას იგი კი არ უკბოვინებია, არამედ წარუწყმედიან; ჩემს მეგობრობას მოყვასი ჩემი ჩაუგდია არა ანგელოზის ხელში, როგორც მე-ეს მსურდა, არამედ ბოროტების ჯურღმულში და შავბედითი სიკვდალას უღომობელ ბრქყალებში...

17 ოკტომბერი.

ღმერთო! მხოლოდ შენა ხარ გულთა მხალავი და მხოლოდ შენ უწყვი მიზეზი ჩემის უზომო ტანჯვისა, სასოწარკვეთილებისა და თვისი მწაბრე ბედის წყევლისა! არავის არ შეუძლია დასდოს მალამო ჩემს სევდას, არავის არ შეუძლია მიაჩიკოს მშვიდობა ჩემს აღშუოთებულს სულს! არავის, არავის, შენს გარდა, ყოვლად-სახიერო!

ადამიანს რომ შევჩივლო ჩემი უბედურება განუმარტო, რისთვის ვარ მწუხარე და სასოწარკვეთილი, გაუმეღავენო ჩემი ნალველი და დარდი გულის მღრღნელები, — სიცილს დამაყრის, ქკუაწეშლილად ჩამაგდებს.

ადამიანი გონებით ბრმაა და ჩლუნგი, სიყვა-

რულით დაჯილდოვებულა ესოდენ მკირედ და საწყალობელად. რომ თავისს სიცოცხლეში ვერ შეიძლებს გაიგოს, იგრძნოს, იხილოს ნამდვილი შიხე თავისი მოძმის სულიერი ტანჯვისა და უბედურებისა.

ყოველი აგრეთ-წოდებული ბედით დაჩაგრული კაცი ატარებს თავისს არსებაში უნარს, ნიქს და შეძლებულებას აღსდგეს დავრდომილ მდგომარეობიდან და ნიახწიოს უმანკო შვებასა და სპეტაკ კეთილდევობას. მაგრამ უშლის იმას შეუდგეს შრომაღვაწლის ის **ნაღველი უკმაყოფილებისა**, რომელიც გულსა და სულს უღრღნის იმისს გამო, რომ **ვირ აღისრულა სულ უბრალო**, მაგრამ **საღმართო ნაღვა**—**მისწრაფებდა**, რომლის განხორციელება სწყუროდა მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში.

შენ **ჯეზუარიტო აღამიანო**, რომელიც მოწოდებული ხარ ცოცხალ მკვდარ მოძმის განსაკურნავად და აღსადგენად, გმართებს გაიგო ეს **დაშარული სენი**, საი დუმლოდ მკვლელი შენი დაჩაგრული მოძმისა! რა იყო ის **წმიდა მიზანი**, რომლის აღსრულებლობამ ასე დააძაბუნა, დააუძღურა და დაღუპა შენი მოძმე?

როცა შენ შეისწავლე **პირველ-მიზეზი**, გამაუბედურებელი შენის მოძმისა, შენ უნდა გამოიჩინო უკანასკნელისადმი არა ჩვეულებრივი თანავრძობა და მანამდის უნდა აწყოფო იგი შენის ყოველადღობიერ მფარველობის ქვეშ, სანამ იგი არ გახდება ბედ-

ნიერი დაეწაფოს იმ უკვდავების წყაროს, რომელსაც იგი დაშორებული იყო აქამომდე!

შენ უნდა შთააგონო და დაარწმუნო შენი მოძმე, რომ არასოდეს არ არის გვიან განხორციელება იმ მიზნისა, რომლის მიხწევას შეუძლია იგი მკვდრეთით აღადგინოს, უკვდავის სიყვარულით გამსჭვალოს და **რამოდენიმე დღეებში და საათებში მაინც მიანიჭოს იმას უზენაესი თვითკმაყოფილება, უმაღლესი ნება!**

დაარწმუნე იგინათლად, რომ დაიბუდებს ადამიანის გულში **რამოდენიმე წლების განმავლობაში** განუქრობელად ისეთი წმიდა სიყვარულმისწრაფება, რომლის მიხწევა არ იყოს შესაძლებელი, ადრე თუ გვიან, ქაბუკობაში ან ხან მესულობაში, თუ ვნოცობაა აღსრულებას იმისი სურვილ-მისწრაფებისას ძალ-უძს მიანიჭოს იმას მტკიცე, წარუვალი სულიერი შეება და ბედნიერება!

დაარწმუნე შენი მოძმე, რომ საუკუნო სირცხვილს, ლაფდასხმას და კბილთა ღრქენას მოიმკის იგი ვინც, სულმოკლედ ატარებს გულში უკმაყოფილებას თვისი მიზნის მიუხწევლობისა გამო, არ სურს თავი გასწიროს მისაღწევად აღოქმული იდეალისა, ჰზოგავს თავისს თავს, თითქოს დასაძრახისს სიცოცხლეს ფასი ჰქონდეს რამე!

დაარწმუნე შენი მოძმე, რომ ადამიანი **მოვალეა** განხორციელოს ის წმიდა **პირველ-მიზანი** რომლის აღსრულების შემდეგ ეს-ეს არის უნდა დაისადგუროს ჰარმონიამ და ნეტარმა თვითკმაყოფ-

ფილებამ იმის არსებაში; და რომლის შემდეგ-კი შენს გახარებულს მოძმეს, გაშვიდკეცებულის ძალღონით, ხალისით, აღტაცებით და ყოვლისშემძლებელის რწმენით შეუძლია ემსახუროს და თავი შესწიროს ღვთის მცნებათა—თვისს უკეთეს იდეალთა— ასე თუ ისე მიხწევას და საღმრთო საქმეს მოყვასთა უმაღლესი ბედნიერების მინიჭებისას!

ღმერთო! მხოლოდ შენა ხარ გულთა მხილავი და მხოლოდ შენ უწყი მიზეზი ჩემის უზომო ტანჯვისა, სასოწარკვეთილებისა და ავისი მწარე ბედის წყევისა! არავის არ შეუძლია დასდოს მალამო ჩემს სევდას, არავის არ შეუძლია მიანიჭოს მშვიდობა ჩემს აღშფოთებულს სულს! არავის, არავის, შენს გარდა, ყოვლად სახიერო!

19 ოქტომბერი.

უკიდურესს სასოწარკვეთილებიანსა და სულიერ სიკვდილის მღვიმეში ჩანთქმულის ადამიანის გულიდან აღმომხდარი ხმა წმიდა, ძვირფასს წამს, გესმის, ჩემო მებრძოარო, უსაზღვრო სიყვარულით გამსქვალულო ადამიანისადმი! რაც უნდა დაცემულად, დავრდომილად, დაგლაზაკებულად და დაკარგულად გეჩვენოს შენი მოყვასი, რაც უნდა დასაძრაახისს, საძაგელ და განუზომელად სასოწარკვეთილ მდგომარეობაში იმყოფებოდეს იგი,—იმისი ხსნა შესაძლებელია! შესაძლებელია განცხადებება და მიზიდვა იმისი კეთაღნებაყოფლობითი, ხალისიანი და თავისუფლებითი შრომისა და მოქმედებისად-

მი. საშუალება-კი დასახელებული უბედურ კაცის გამოხსნისა სასოწარკვეთილების უფსკრულიდან და სიკვდილს ბრჭყალებიდან გახლავს შემდეგი:—**უნდა განმსჭვალო, ალაფროვანო უენი არსება ღრმა რწმენით, როგო იგი, დაცემული უენი მოძმე, დაბადებულია სახელოვან სიცოცხლისა და უკვდავებისათვის და არა სამარცხვინო სიზღახაჰისა და სიკვდილისათვის.** და რაკი ალავსე უ-ნი არსება ასეთის სარწმუნოებით, ეწვიე უენს მოძმეს სპეტაკის ნათელი მხიარულებით, მიეგებე გულითადის მეგობრული სიყვარულით და **აბრძნობიე** ცხოვლად, რომ აგი—მშვენიერი არსებაა, **დაცემა იმისი უეჰთხვევითია და აღდგომა იმისი, რა თქმა უნდა, უნდა მოხდეს აი ამ საათში!**

რაკი დაუბრუნე უენს მოძმეს რწმენა თავისუფლებისადმი და განკურნე-აღადგინე იგი სულიერად, ეცადე მიანიჭო იმას იმ წამსვე ხორციელი შვებაცა: —თუ იმას სცივა, ჰშია, აწუხებს უწმიდური ტანის-სამოსი და ნოტიო ბინა, აწუხებენ მოვალეები,— დაიხმარე მეგობრები და აბანავე იგი უენთან თბილს აბანოში, ასვი-აქამე იმას უენთან ტკბილად-შემრგები სასმელ-საქმელი, ჩააცვი სუფთა და თბილი ტანისამოსი. უშოვნე კარგი თავშესაფარი ბინა; აშოვნე სამუშაო, რომელმაც ნივთიერად იმას ხელი მოუმართოს, მაგრამ არ იყოს კი შემლახველ-დამამკირებელი იმისი კაცურ ღირსებისა, ზნეობრივობისა; გასწიე მეგობრული უუამაველობა იმის მოვალეებთან

და მოსთხოვე უკანასკნელებს, რომ ისინი თავისას მიიღებენ და აღარ შეაწუხონ შენი ახალ-მოგებული მეგობარი.—

20 ოქტომბერი

რამ დაგაძაბუნა, ნიკო! რისთვის მიეცი სასოწარ-კვეთილებას, რად სწყევლი წარსულს და რად შეჰყურებ დაღვრემილად, უნუგეშოდ მომავალს!?

უსამართლო ხარ, როცა ემდური წარსულს! იმიტომ რომ, მიუხედავად ღრმა ძილისა, უქმად ყოფნისა და უნაყოფოდ დროს დაკარგვისა წარსულში, — უმანკო ბედნიერება, სიხარული და გამარჯვება უმეტეს ნაწილად თანამავალი იყო შენთან შენი ცხოვრების გზაზე.

მართალია, შავბედითს უბედურებასაც გამოუბნელებია შენი სიცოცხლის დღენი. მაგრამ უბედურება ყოფილა ღრმა შინაარს ანი, სვინიდიისა და გონების გამაღვიძებელი, შორსმხედველობითა და სიბრძნით აღმქურველი. ამასთანავე უბედურება მალე შეგცვლია მშვიდობის მყოფელ მხიარულებად.

ახლა წარმოიდგინე, რა იქნებოდა შენი წარსული და შენი აწმყო, რომ გაგეტარებია მთელი სიცოცხლე, აქამომდე განკლილი, შრომაში, მოქმედებაში და ღვაწლში! შენ უნდა გაკვირვებდეს მხოლოდ ის, რომ ყოვლად-ცალიერს კეთილმოქმედებათაგან და ყოვლად უღირსს ყურადღებისა, მადლი ღვთისა გფენდა მხურვალე შუქებს თვისი ნეტარი სიყვარულისას!

რამ დაგაძაბუნა ნიკო! რისთვის მიეცი სასო-
წარკვეთილებას!?

როცა გაახილე გონების თვალები, ხომ დაინა-
ხე, რომ იმყოფები კეთილისმყოფელ გენიის მფარვე-
ლობის ქვეშ, მაშასადამე გმართებს არა მწუხარება,
არამედ სირცხვილა და სინანული ღვთის წინაშე,
რომ შენგნით დაუმსახურებელია სიყვარული და
ყურადღება, რომლებითაც წარსულში იყავ დაგვარგვი-
ნებული!

მიენდევ, თავი შესწირე ღმერთს!

გრწამდეს, ღრმად გრწამდეს, რომ თუ შენ
აღაფსებ შენს სიკოცხლეს შრომა-მოქმედებით, ლოც-
ვით და ღვთის სიყვარულათ, მოგენიჭება მადლი
მოყვასთადმი სიყვარულისაც და მომავალში-კი და-
გიდგება ღრმად, როცა შენ შეიქმნები ძვირფასი და
საყვარელი ღვთისათვისაც და კაცისათვისაც.

21 ოქტომბერი.

სანამ მეფობენ, ხელმწიფობენ შენში წმიდა
აღტაცება, ფრთაშესხმული სიხარული და ზეშთაგო-
ნება, ზეაღმწევლნი, აღტაცებელნი დედამიწის წუმ-
პიდან და მზვრად ქცეულ, დაგლახაკებულ, დავრდო-
მილ ადამიანთაგან; სანამ მეფობენ, ხელმწიფობენ,
შენში წმიდა აღტაცება, ფრთა შესხმული სიხა-
რული და ზეშთაგონება, მომნიჭებელნი თავისუფ-
ლების და აღმამაღლებელნი მზეთუნახავ პრინ-
ციპებსზე და თვითმპყრობელ მეფეებზე; სანამ
მეფობენ, ხელმწიფობენ შენში წმიდა აღტაცება,

ფრთაშესხმული სიხარული და ზეშთაგონება, აღმავსებელნი შენი არსების თავდავიწყებულის მისწრაფებით ღვთისაკენ და უძლიერესის სურვილით ღვთის სასუფეველის დამყარებისა ადამიანის გულსა და გონებაში; — შენ ბრძანდები ქეშმარიტი ძე ანუ ასული ღვთისა, ძლევა, შემოსილი და ბედნიერი, სწორი ანგელოზისა, მშვენიერი და გვირგვინოსანი მოქალაქე ორთავ სამყაროსა! — ვერავითარი ბოროტი ძალა წყვედიადთა მეფისა ვერ გაჰბედავს მოგეკაროს; რაკი იხილავს იგი შენს შუქმფინარესახეს, გაბრწყინვალებულს არ ქვეყნიურის მშვენიერებიო, და უცხოდ მოთინათინეს შენს თავზედა ოქროვანს შარავანდელს, — უკუიქცევა იგი, შეიპყრობს იმას შიში და თრთოლვა, ფეხთაქვეშ დაგეფინება გასათელავად და გაგიხდება საუკუნო ყმად და მონად!

22 ოქტომბერი.

რამდენი სიბრმავე, სიბინძურე და სიპირუტყვე გამოიხატება ახლანდელი ქალის სახეზე და იმისს ყოველს გამოხედვაში!

გააცანით თქვენ კაცთა საზოგადოებაში ფრად-მოწონებულს, დიდადსაყვარელს, ტურფა, მალხაზ, კეკლუც ქალს ორი პირი: დიდებული გენიოსი **პომეტი**, რომლის „ცეცხლის მფშვენელი გულში ელავს, ღელავს გრძნობა“, და **ფრიად ბანუშვითა-ჩებელი ბარყვნილი უპირკვენი ლაქია**, პოეტზე ულამაზესი და უკეთ ჩაცმულ-გამოწყობილი,

მოყვარული გაუთავებელ ტიკტიკ-ლაქლაქისა და თვისი თავის შესხმაქებით ცამდე აყვანისა.

ნუ ეტყვით ქალს ამ პირების ვინაობას. მე დარწმუნებული ვარ, ჩვენი სახელგათქმული მანდილოსანი თვალებით შესჭამს ლამაზ, კოხტად ჩაცმულ ლაქიას, დაასაჩუქრებს თვისის უმხურვალესის ალერსით და თანაგრძნობით, მაშინ როდესაც პოეტს არც გამოელაპარაკება ხეირიანად და თვისი მცირედი ყურადღების ღირსადაც არ ჩააგდებს. ახლანდელი ქალი მოკლებულია სრულიად ზეშთაგონებულს ინტუიციას*) და მადლს ამოიკითხოს;—თუ სად არის სიწრფელე, მშვენიერება, ძლიერება და უკვდავება.

ახლანდელს ქალს არ სწყურია მთელის თვისის არსებით **წმიდა** სიყვარული, ახლანდელი ქალი არ ელტვის დაიმკვიდროს ციური სასუფეველი გენიოსისა, გმირისა და წმიდანის გულში...

სატირალია და საგლოვი ახლანდელი ქალი...

23 ოკტომბერი.

იცოდე ერთხელ და სამუდამოდ, რომ წყარო ჰარმონიისა, მშვიდობისმყოფლობისა და ბედნიერებისა—**შრომაა!**

*) ინტუიცია ჰქვია ზეცისგან მონიჭებულს და ადამიანის მიერ განვითარებულს **მადლს**—ჩაანათლო ელვის სისწრაფით შენი მაღალ გრძნობისა და გონების სხივები საგნისა და ადამიანის სულის სიღრმეში და ამოიკითხო, იხილო მსგავსად გულთმისანისა, ნამდვილი შინაარსი საგნისა და ქეშმარიტი სახე ადამიანისა.

არ მომხდარა და არ მოხდება, რომ იმ დღეს, რომელიც შენ უქმად და უნაყოფოდ გაატარე, იგემო-გამოსცადო მცირედო სიხარულიც-კი! ეს იმიტომ, რომ ადამიანი გამოგზავნილია ამ ქვეყანაზედ შრომა-მოქმედებისათვის. რაკი დაარღვიე შენ ეს კანონი ბუნებისა, უკანასკნელი გსჯის შენ ყოველ წუთს და ყოველ ფეხის გარდადგმაზე!—

24 ოკტომბერი.

თუ გსურს სულიერად დაახლოვება ადამიანთან, კაცი იყოს გინდ ქალი, პატარა იყოს გინდ დიდი, თუ გსურს გარდაგიშალოს ყოველმა არსებამ თვისი უმანკო გული, აღსავსე ჰაეროვნებით და ნარნარის სიყვარულით შენდამი; თუ გსურს, ადამიანი წარსდგეს შენს წინაშე ხშირად, ძლიერ ხშირად, მშვენიერებით და ანგელოზური სახიერებით დაგვირგვინებული,—მოიქეცი ასე: პატარასაც და დიდსაც, უმცარსაც და სწავლულსაც, კეთილ სულსა და უკეთურ სულსაც, როგორც წარსდგები იმათ წინაშე, მოეპყარი ისეთი სულიერი სიყვარულით და მოწიწებითი პატივისცემით, როგორც მოეპყრობიდი წმინდანს, ანგელოზს და კაც-ღმერთს!

25 ოკტომბერი.

ნიკო! გპართებს ღრმა სინანული ღვთისა და შენმიერ სასძლოდ აღრჩეულაგნიას წინაშე იმის გამო რომ შენ შეაგინე, შეურაცჴყავ **წმიდა** სიყვარული,

რომელიც შეჭფიცე უმანკო არსებას და რომლითაც აღარ იყავი გამსჭვალული.

აგნიაშ, როგორც ღრმად გრძნობიერმა, იგრძნო, რომ შენ ატყუებ თავისს თავს, ღმერთსა და აგნიას, ამიტომაც უარჰყო იმან შენი მოჩვენებული ღუბჭირი სიყვარული.

ისე, რომ შენმიერ წყევლა-კრულის გზავნა აგნიასადმი და მონათვლა იმისი მოღალატისა და გაძეგმის სახელით სრულრად უსამართლოა და უსაფუძვლო!

26 ოკტომბერი.

სად მიმეტარე შენ, კეთილშობილო **მედიდუ-რებაშ სულისა!** შენი მშვენიერი მისწრაფება და კეთილშობილი წყურვილი, რომ მიანდო შენნი ღვთაებრივის ცეცხლით განსჭვალულნი წმიდა გრძნობანი და უკვდავნი აზრნი მხოლოდ ღმერთს და შემდეგ-კი მარტოდ-მარტო ზრძენს, წმიდანს, გენიოსს და წინასწარმეტყველს, სად განჰქრენ და სად მიიხალენ!?

რად შემიტყვიანე კაცური ღირსება და რად გამაზიარებე ის გრძნობა, რომელიც ცეცხლივით მწვაავდა, უგნურისა და ჩერჩეტისადმი, რომლის ხავსმოკიდებულნი, ბნელნი, ნოტიოთი ამყრალე-ბულნი გული და გონება—ბუდეგბა თურმე ბაყაყ-თა, და რაოდენად უკანასკნელებს იმოდენად შესწევს თურმე იმას, ჩემს მოძმეს, უნარი და ნიჭი—იგრძნოს, გაიგოს მშვენიერება, უკვდავება და ნეტა-

რება იმ გრძნობისა და აზრისა, რომელთაც ატარებს გულსა და გონებაში ქეშმარიტი ადამიანი.—

27 ოქტომბერი.

ნუ მეტყვი, მეგობარო, რომ ტურთა, მშვენიერი, მაღალი და წმიდა ქმნილებისათვის ყოველი კაცი, ვინც უნდა იყოს, წარმოადგენდეს მშვენიერს არსებას, რომლის ცქერა, რომელთან მუსაიფი, რომელთან დროს გატარება სასიამოვნოა და საყვარელი!

ვარმე, ამაო იმედო სულითნათელ ადამიანისავ! მე კი ნათელ წამებში, როცა წმინდა ანგელოზი ჰსადგურობს ჩემს არსებაში, ყოველთვის შევხვდები ხოლმე აქა-იქ ისეთ სახის ქალებსა და კაცებს, რომ, როცა ისინი მე შემომცქერიან-შემომყურებენ, მე მგონია შემომცქერის-შემომყურებს უზარმაზარი, უსაზღვრო წყვდიადი ათასეულ საუკუნოების, რომელსაც სურს დააბნელოს ნათელი სრულიად ჩემს არსებაში და შეუძლებელ ჰყოს მუნ სადგურობა ანგელოზისა;—მე მგონია შემომცქერის-შემომყურებს განხორციელებული პროზა, საზიზღარი სულმდაბლობა, სისაძაგლე, სიმურტლე, ყოველი საშინელება და უბედურება მიწის ქვეშეთისა, რომელიც ჩემში ჰხედავს **მხოლოდ** იმას, რის მტარებელიც და პატრონიც თვითონ ბრძანდება.

ასეთს შემთხვევაში, მე მგონია, მშვენიერმა არსებამ უნდა იგრძნოს მათხოვნილება, რაც შეიძლება მალე აღასრულოს თვისი მოვალეობა დასახელებულ ადამიანთა მიმართ, და რაკი გაუწია უკანასკნელებს

საჭირო სამსახური, განერიდოს, მოშორდეს იმათ, მიაპყროს თვისი გონების თვალები უუქმფინარე იდეალს, აბანავოს თვისი არსება იდეალის მთაზედ საუცხოვოდ ამოჩუხჩუხე წყაროში და, მოიშოროს რა ჭუჭყი და მწიკვლი, სასოებით მიძღვნილი იმისადმი საზიზლარი მოყვასის-მიერ, ისევ აღადგინოს თვისი უმანკო მშვენიერება და სასოება.

28 ოკტომბერი.

რისთვის ვართი მე აღამიანის წინაშე! რად მეშინია მე გაუსწორო იმას ჩემი სახე, როგორც თანასწორმა თანასწორს!

რად მგონია მე, რომ იგი ჩემზე კეთილშობილია, ჩემზე მშვენიერი სულით, ჩემზე მდიდარი მისწრაფებით წინ და სიყვარულით იდეალისადმი!

რად მგონია მე, რომ თუ იგი დღეს ჩემზე უფრო სასარგებლოა მოყვასისთვის, ზვალაც და მოშვალში დარჩება იგი ჩემზე საჭირო ქვეყნისათვის და ჩემზე პირნათელი და გამართლებული ღვთის წინაშე...

29 ოკტომბერი.

დედაო, ჩემო მშობელო! რისთვის დამტოვე ობლად! რისთვის მშობე, თუ არ დამატკობდი, გამახარებდი მშობლიურის აღერსით!?

გვედრები, გემუდარები, მომევიღინე და მაჩვენე შენი წმიდა სახე, შენი ნაზი მზრუნველობა, სიყვარულით აღსავსე ჩემდამი!

მთელის ძლიერებით, რისაც კი შემძლებელია

ჩემი უძლიერი არსება, მოგიწოდებ ჩემო დედავ
გარდმომხედე, მომაპყარი შენი ძვირფასი ყურადღება!

დაჩანახვე შენი ცხოველი, შექმფინარე სახე!
ჩაანათლე იგი ჩემი გულისა და სულის სიღრმეში,
რითაც ორთავე აღმიფრთოვანდება, გამიკეთილშო-
ბილდება და განიმსჭვალვიან უსაზღვრო სიყვარუ-
ლით ღვთისადმი!

დედაო ჩემო მზოგალო! ხილვა შენი კვლავ
დაასადგურებს ჩემში უძლიეველს სურვილს შევიძუ-
ლო სიღუბჭირე-ბოროტება და შევიყვარო შექმფი-
ნარე მზე წმიდა ჭეშმარიტებისა და იდეალისა!

ხილვა შენი ისევ ააღვლევებს და განმსჭვალავს
სახელისა და უკვდავების მოსახვეჭელ საქმის ქმნის
წყურვილით ჩემი ბუნების დაწყნარებულ ზღვას, და
ნავს, მისს წიაღზედ მშვიდობით განსვენებულს
მედგრა გაიტაცებს იმ შორეულ, მაგრამ ნეტარ კუნ-
ძულისკენ, სადაც მდებარეობს აღაქმული მხარე!—

30 ოკტომბერი.

მთელს შენს სიცოცხლეში ერიდე უგნურად
დროს გატარებას ყბედ საზოგადოებაში. უმეტესს
შემთხვევაში იცხოვრე განმარტოვებულად. დანარჩენს
დროში-კი როცა გაგიჩდება მოთხოვნილება გაერიო
ადამიანებში, გაჩნდი იმათ შორის, მსგავსად ბუზი-
სა, ზეშთაგონებისა, რამოდენიმე წამს: შენი აღტა-
ცება, ენტუზიაზმი*) ჩააწვდინე იმათს არსებაში,

*) ფრთაშესხმული, წმიდა სიხარული, ცად აღმაფრენი.

გაიტაცე ისინი შუქმფინარე იდეალისაკენ და ის დრო, რომელსაც დაჰყოფ შენ იმათთან, გარდააქციე უკანასკნელთათვის წმიდა, ნეტარ წამებად!—

1 ნომბერი.

შესაძლებელია თუ არა გამოვიდეს ჩემგან მსგავსი რამ ქეშმარიტი ადაშიანისა?

მე არა ვიცი რა. მხოლოდ არ შემიძლია ვირწმუნო-კი, რომ კეთილისმყოფელმა გენიამ სრულიად მომაკლოს თვისს მფარველობას, და რაც მშვენიერი, წმიდა ღვთაებრივი ჰსადგურობს ჩემი არსების სიღრმეში, სრულიად განჰქრეს და მოკვდეს

2 ნომბერი.

მრავალჯერ ზეშთავონებულს წმიდა წამებში, რომ უარჰყო წარმავალი განცხრომა, მოლხენა და სიხარული, რადგანაც შენ ბედნიერი მხოლოდ მაშინ ხარ, როცა გაურბი განცხრომას, მოლხენას და სიხარულს,—არ გესმოდა შენ იღუმალი ხმა, გამომავალი შენი სულის სიღრმიდან და მთელის თვისის ძლიერებით მომწოდებელი შენი თავდავიწყებული თავდაუზოგველი მოქმედება-ღვაწლისათვის... დღეს-კი ჩემო თავო, მოწოდება, გამომავალი შენი გულის და სულის სიღრმიდგან, სასტიკია, მკაცრი და უღმობელი:

—ან ღმერთი ან სატანა, ან სიცოცხლე ან სიკვდილი!

გესმის ნიკო! აღირჩიენ ერთხელ და საუკუნოდ

ორისაგან ერთი: ან ღმერთს დაუსაკუთრე შენი სიყვარული და შენი სიცოცხლე, ან საზიზღარ ქვემძრომთა მეუფეს ქვესკნელისას!

გათავდა ხანგრძლივი დრო სამარცხვინო ლოდინისა, როცა ოცნებობდი თვალეხ დახუჭული, რომ ბედნიერება ყ-დ დაუმსახურებლად შენის მხრით ჩაგივარდებოდა აღპყრობილ ხელებში!...

3 ნოემბერი.

მე უარსგყოფ შენ **წარსულში!**

რაღ იყო, იყო და კვლავ აღარ განმეორდება! უსაშინელესნი შეცდომანი, სიბოროტენი, სულელობა-ჩერჩეტობანი წარსულისა, გულის აღმავსებელნი შხამით და გონების შემაგინებელნი, გადვისროლვე დავიწყების უძირო უფსკრულში. ვაშა, ვაშა! ჩემთვის აღარ არსებობს ჩემი წარსული!—იგი გავაუქმე და მოვსპე!

გესმის ნიკო! გავაუქმე და მოვსპე წარსული!...

15 ნოემბერი.

წყაროვ სიცოცხლისა, უკვდავებისა და ნეტარებისაე, **ღმერთო!**

შენის უხილავის მადლით მე, მკვდარი გამა-ცოცხლე.

დაბადების დღიდან იმ დრომდის, სანამ შევიგნებდი თვისს თავს, სანამ მოვეგებოდი გონებას, ვსცხოვრობდი საძაგელ, საზიზღარ ადამიანთა შორის, რომელთაგან გარდამედვა სიზარმაცე, სულმოკლე-

ობა, სულმდაბლობა, მიდრეკილება ბოროტ სიყვარულისადმი, სიმხდალე და შიში ჩემებრ მომაკვდავ ადამიანთა წინაშე, გარდამედვა იმათგან ყოველი თვისება და ყოფაქცევა სულით გლახაკისა და მუდამ მთრთოლვარე მონისა.

როცა აღმეხილა გონების თვალები და მოცნობიერდი, დაეინახე, ამყრალებულს წუმპეში ვეგდე და მუნ აღმომცენარებულს დამპალ ხილს დიდის კმაყოფილებით შევექცეოდი; მღორედ ზანტად მიმდინარე ტალახიან, მლაშე წყალს გულიანად დაესწაფებოდი!

წყურვილი წმიდა, ანკარა წყლისა და მისწრაფება უმჯობესისადმი სრულიად გამომღვეოდა — დამკარგოდა.

შემეზიზლა თვისი თავი. აღდგომა რომ მოვიდოძე, ველარ შევძელ ზეაღწევა ბოროტების წიალში ნებივრად განსვენებულ მძიმე ტანისა. გონებას მივმართე გამოხსნისათვის, მაგრამ იმას მე დავეტოვებიე.

გამოვიწოდე ჩემის არსებიდან უკვდავი სული, მაგრამ პასუხი მომცა თვისი ამყროლებული პირით ვნებათაღელვამ: — „სირცხვილია სიბრძნეში ღორმა გაჯოზოს! ნუ ხარ სულმოკლე! მოთმინებით სჩიქნე შენი ქაობი და იქ იპოვნი ყოველისფერს, რასაც კი შეუძლია შენი ხორცის გახარება!“ -

ამ დროს მომესმა ძუკანა ძაღლის, რომელსაც სახე კი შერჩენოდა ქალისა, ყეფა-სიმღერა ქაობის

სიღრმიდან:— „ნამდვილია, ნამდვილია! მოდი... და დასტკბი!.. მოდი და გაიხარე!..“

ვსთქვი: ასეთს სიცოცხლეს სიკვდილი სჯობია, ნიკო! აღდგომა ვეღარ შესძელი,—ქე მაინც დააჩქარე სიკვდილი შენი!

17 ნოემბერი.

ღმერთო! შენდამი აღვაღწე ჩემი ტანჯული სულის ოხვრა სევდას! შენ გარდაშიქციე წამება შევბად, მწუხარება—სიხარულად!

დეე ყოველი აღთქმა-ქშენვა ჩემი იყოს აღთქმა შენდამი მადლობისა, ქებისა და დიდებისა!

დეე ის, რაც მოხთა და რაც იყო წარსულში და გუშინ, ნუღარ განმეორდება ხვალ და მომავალში!

დღეს რომ მკვდარი ვარ, ხვალ გამაცოცხლე! დღეს რომ შერცხვენილი, ლახვარ სობილი მტრებისგან და განწირული, ხელაღებული მეგობრებისგან სასოწარკვეთილების მღვიმეში რომ ვგდივარ, ხვალ, ღმერთო ცხოველო, აღმიდგინე კეთილი სახელი, განმკურნე, განმაცხოველე, მტრები დამათრგუნვიე, მეგობრებს შემარიგე!..

1 დეკემბერი.

მშვენიერო წყარო ჩემის არსებისავე, როდემდის იმაღლები გულისა და სულის სიღრმეში! როდის ამოაჩუხჩუხდები მთელის შენის ძლიერებით და განაცხოველებ მთელს ჩემს არსებას!

შენ განეშორე მტვერსა, ჭუჭყსა და მურტალ ტალახს, რომლებიც გეყრებოდა ნათელ კამარაზე

ჩემის დაუღვერობით, მცონარეობით და მონურ მდგომარეობაში განსვენების გამო.

ღღეს-კი, ნუ თუ საუცხოვო წყაროვ, აღარ მოახწია შენამდის კეთილმა ამბავმა ჩემის გააზნაურებისამ:

—გამოღვიძებულმა ჩემში დიდებულმა **მეზამ** მსგავსად ლომისა, შემუსრა ჯაჭვი მონობისა, გაბატონებულნი ჩემს არსებაში უწმინდურნი, ქვემძრომნი, სურვილ-ვნებანი განაძევა ჩემმა **მეზამ!**

ამოჩუხჩუხდი, ანკარა წყაროვ!

2 დეკემბერი.

შენ ხარ გამოგზავნილი ამ ქვეყანაზედ განსახორციელებლად უმაღლესი მისიისა, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ გამოაღვიძო მძინარი გმირი ადამიანის არსებაში, ჩააგონო ადამიანს, რომ შეიგნოს უკვდავება და ძღვევამოსილობა თვისი სულისა!..

